645
1967



აპრილი
№ 4 1967 წ

# საქართველოს ქალი



ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა. საკონტროლო იარაღების საამქროს ზეინკალი ლუდმილა კიკალეიშვილი

# ზღვისპირეთის მზიანი

რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარია. უჩვეულოდ თბილა. მზის სხივები ემხს მატებს ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის ტერიტორიას.

ღიაა ამწყობი საამქროს კარი, გრიალებენ ელექტროძრავები. საამქროში ადამიანები ფუსფუსებენ, ამერიკაში გასაგზავნ კატარღის კორპუსს აწყობენ.

აქ ჩვიდმეტი ეროვნების წარმომადგენელი შრომობს ერთად.

მაგონდება თბილისი, მტკვარზე მოსრიალე კატარღები, ისინიც ხომ ამ ქარხანაში არიან შექმნილნი.

ქარხანას რამდენიმეჯერ მიუღია მონაწილეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოფენაზე თურქეთში, საფრანგეთში, ყველგან მოწონება ხვდა წილად ბათუმში აწყობილ კატარღებს. ქარხნის ფართო რეზონანსზე მეტყველებს, აგრეთვე, საგანგებოდ დამზადებულ მსოფლიო რუკაზე აღნიშნული ქვეყნები: კუბა, შვეცია, თურქეთი, ეგვიპტე, სირია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, სადაც ხდება ბათუმლების მიერ შექმნილი კატარღების ექსპორტი.

ქარხანაში ყოფნისას შენში აღიძვრება ახალი ემოციები, შემეცნებაში ჩნდება ახლადგაცნობილთა სახეები: პლატონ ჯორბენაძე — ქარხნის დირექტორი, გიორგი კვაჭაძე — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, გიორგი აბაშმაძე — ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი, ზაურ ხომერიკი — ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ოთარ თამაზიშვილი — სამღებრო საამქროს ხელმძღვანელი.

...სამღებრო საამქრო. ამწყობი საამქროდან აქ ოდნავ აღწევს ელექტროძრავების გრიალი.

სამღებრო საამქროს მაგიდებზე ალუმინის ფურცლების დასტაა. აქ უმეტესად ქალები ფუსფუსებენ: ანა მალოშჩენკო, მზია კუკულაძე, ჟანა ბორმოტოვა, ცისანა ფერაძე. ამ საამქროში წარმოებს ალუმინის ფურცლის გაწმენდა, გაპრიალება, კოროზიისაგან დასაცავი ნივთიერებით დაფარვა, რასაც სწორედ ქალური სიფაქიზე და სინატიფე სჭირდება, და ბოლოს შეღებვა. ძალზე მომხიბვლელია ქალების ფაქიზი ნახელავი, უკვე სანაოსნოდ გამზადებული კატარღა, რომლის ქვედა ნაწილი წითელი ფერისაა, ზედა კი — თეთრი. კატარღის პირველი ნათლობა ქარხნის ტერიტორიის სწორედ ამ მისადგომიდან იწყება, სადაც ზღვა ახლა მშვიდია და მზის სხივებზე ლურჯად ლივლივებს. კატარღას ზღვაში უშვებენ. სიხარულს განიცდის პირველი მესაჭე. ნაპირთან მყოფი მშრომელები სიამაყით აყოლებენ თვალს, თუ როგორ სერავს კატარღა ლურჯ წყალს, როგორ იტოვებს ნაკვალევს უკან. აწი შეიძლება ზღვებისა თუ ოკეანეების შორეულ რეისებზეც დაულოცონ გზა.

გიორგი კვაჭაძეს ქარხნის სტენდთან მივყევარ, რომელზეც ფოტორეპროდუქციის სახით ქარხნის ცხოვრებაა ალბეჭდილი... ძველი საამქროები, ახალი საამქროები, ქარხნის ვეტერანები, მოწინავე ადამიანები, სპორტსმენები, ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის მიერ შექმნილი კატარღა ოკეანეში, კატარღაში — ფიდელ კასტ-

როი

ფოტო დ. იაკობაშვილის



ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა. № 4 საამქროს ოპერატორ თანაშემწე ალა სალტიკოვა.

10.385



ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. № 1 საამქროს ოპერატორის თანაშემწე ციალა მიქაშავიძე.



ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ეკონომისტი ლარისა ლლონტი.



გემთმშენებელი ქარხანა. ჟანა ბორმოტოვა, გალინა ბაზიკინა და მზია კუკულაძე.

რო და ბათუმის ქარხნის წარმომადგენელი. ფოტოსურათზე ხელმეორედ ვხედავ ბორმოტოვას სახეს, იგი აჭარის მეწინავე ქალთა ნაკრების წევრია.

იზრდება, ფართოვდება ქარხანა, ემატება ახალი საამქროები. მშრომელებს სურთ მათი ქარხანა ისეთივე ლამაზი, ესთეტიკურად მიმზიდველი იყოს, როგორიც მათი ნახელავია. ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავის შესახვედრად გათვალისწინებულია ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია. ამ თარიღთან დაკავშირებით ქარხნის ახალგაზრდობა კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით აწყობს საზეიმო შეხვედრას ამავე ქარხნის ვეტერანებთან. ეს შეხვედრა ქარხნის ახალგაზრდობას კიდევ უფრო განუმტკიცებს შრომითი გამარჯვების ტრადიციულ რწმენას.

მზე სულ უფრო უახლოვდება ზენიტს, მატულობს სითბო. ვემშვიდობები მასპინძლებს, კმაყოფილი ვტოვებ ქარხნის ტერიტორიას.

კვლავ იცვლება ბუნების პანორამა. შარაგზა. ზღვა. პალმების რიგი.

...ბენზეს დასახლება. ჩემს წინაა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ხედი, ვეებერთელა ტერიტორია ნაგებობებით. მრეწველობისა და ტრანსპორტის რესურსების ეს დიდი წყარო ოცდათხუთმეტი წლისაა. თავის ფუნქციას უდიდესი სიზუსტით ასრულებს ქარხნის ყოველი უბანი, სადაც წარმოებს რესურსების პირველადი და მეორადი გადამუშავება, მთელი რიგი სხვა სახის პროცესები.

მიუხედავად ავტომატიზირებისა, ბენზეს დასახლების რვაათასი მცხოვრებიდან ათას ორასი ადამიანი ამ ქარხანაში შრომობს.

კვლავ ახალი ნაცნობები, ახალი სახეები: სოსო კუტუბიძე — ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი, სერგო დოლიძე — ქარხნის დირექტორი, კოტე დოხნაძე — ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; ქარხნის მოწინავე კომკავშირელი ქალები: მაყვალა ჟორჟოლიანი, გულნარა ზარკალაია, ლამზირა რუსია, ოლღა ტერვისიდი, ზინა გიორგაძე, ზოია აფანასევა, ლარისა ლლონტი.

კოტე დოხნაძეს ქარხნის მუზეუმში მივყევარ. ეპიზოდების სახით შემოუნახავთ მუზეუმის კედლებზე გამოფენილ ფოტოსურათებს ქარხნის არსებობის ოცდათხუთმეტი წელი, ძველი ქარხნის რამდენიმე ნაგებობა... ახალი ქარხნის ვეება ხედი.

ოცდათხუთმეტი წლიდან ხუთმა წელმა ომის მძვინვარე დღეებში განვლო. ქარხანამ დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის თავდაცვაში. დღეში თექვსმეტ საათს შრომობდნენ გამარჯვების რწმენით შთაგონებული ადამიანები, მათი ენერგიის ნაწილიც ერია ტანკების, თვითმფრინავების შემმუსვრელ ძალაში.

დღეს ჩვენი თუ საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა ამ ქარხანაში დამზადებული პროდუქციით სარგებლობს.

კოლბებში საგანგებოდაა წარმოდგენილი ქარხანაში დამზადებული პროდუქციის ოცდაერთი სახის ნიმუში. ბენზინი, დიზელის საწვავი, ტრანსფორმატორის ზეთი, გუდრონი, მაზუთი — ვკითხულობ კოლბების წარწერებს.

სულ უფრო იზრდება ქარხანა, უმატებენ ღუმელებს, შენდება დანადგარი კაუჩუკის წარმოებისათვის.

ქარხანაში ყოველგვარი პირობაა შექმნილი მშრომელთა ცოდნისა და კულტურული დონის ასამაღლებლად. ქარხნის ყველა მუშა ეცნობა საწარმოში დამკვიდრებულ ტექნოლოგიურ პროცესს. ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკა ორმოცდახუთი ათასამდე წიგნს ითვლის, ხოლო მხატვრული — ჩვიდმეტი ათას ხუთასს.

კულტურის სახლი ზრუნავს იმისათვის, რომ უფრო სახალისო გახდეს ქარხანაში შრომა, ქმნის კულტურული დასვენების საშუალებას.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ქარხანაში მომუშავეთა ბავშვებისადმი, აქვთ ბავშვთა ოთახი, მუშაობენ შემოქმედებითი წრეები, მშობელთა კომიტეტები, ბავშვთა ბიბლიოთეკა.

ქარხანას აქვს სტადიონი, საცურაო აუზი წყალქვეშა სპორტის ბაზა.

...ვტოვებ ქარხანას და თან მიმყვება შთაბეჭდილებები, მშრომელ ადამიანთა სახეები, ზღვისპირეთის გმირების სითბო.

მიხეილ გოგუაძე

# ლენინი ოქტომბრის ბელადი



ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე.
ვ. ა. სეროვის სურათიდან.

**ა. ი. კრუგლოვა,**
ქარხანა „პრომეტის“ მუშა.

მაგონდება რუსეთის პირველი რევოლუციის წლები. მაშინ მე, როგორც ბევრ სხვა ახალგაზრდა მუშას, პოლიტიკაში ჯერ კიდევ გაუწაფავს, ყოველთვის არ მყოფნიდა ცოდნა გავრკვეულიყავი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებულ უთანხმოებათა არსში. მაგრამ ალღო მკარნახობდა, რომ ჭეშმარიტება ბოლშევიკების მხარეზე იყო. ბოლშევიკებს რწმენა აქვთ მუშათა კლასის, მისი მხნეობისა და სიმტკიცის, მისი უნარისა — იყოს რევოლუციის ნამდვილი ბელადი, მიიყვანოს ხალხი გამარჯვებამდე.

მახსოვს 1906 წლის მაისში ტამბოვის ქუჩაზე, სახალხო სახლში გამართული დიდი მიტინგი. მიტინგზე თავი მოიყარა სამი ათასზე მეტმა კაცმა. აქ იყვნენ მუშები პეტერბურგის ყველა რაიონიდან. კადეტებმა და ესერებმა მიტინგზე გამოგზავნეს დემაგოგიაში ყველაზე უფრო გაწრთვნილი ორატორები. მათ გამოიყენეს მჭევრმეტყველების მთელი არსენალი იმისათვის, რომ იძულებული გაეხადათ მუშები უარი ეთქვათ ბრძოლაზე და უკან დაეხიათ. ვისმენდით მათ სიტყვებს და ჩვენ, რიგითი მუშა-პარტიელები, გულისფანცქალით ველოდით იმას, თუ ვინ გამოვიდოდა ბოლშევიკების მხრიდან, რომ საკადრისი პასუხი გაეცა თვითმპყრობელობის ადვოკატებისათვის.

თავმჯდომარე ასახელებს მორიგი ორატორის გვარს: კარპოვი... წინათ ჩემთვის უცნობი იყო ეს გვარი. ტრიბუნაზე ავიდა ერთი დაბალი, ჯმუხი კაცი. უბრალოდ და შეუფერადებლად დაიწყო მან ლაპარაკი. მაგრამ უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი დარბაზი გაინაბა, დაპყრობილი მისი სიტყვის რკინისებური ლოგიკითა და რწმენით აღსავსე მგზნებარებით. იგი თითქოს იქვე, ტრიბუნაზე, ხდიდა ნიღბებს მანამდე სიტყვით გამოსულ კადეტებსა და ესერებს და აუდიტორიას უჩვენებდა ხალხის ამ მტრების ჭეშმარიტ სახეს.

რევოლუციის გამარჯვების ურყევი რწმენით იყო გამსჭვალული მისი ყოველი სიტყვა. ეს იყო პირდაპირი და მკაფიო პასუხი იმ მწვავე საკითხებზე, რომლებიც ჩვენ გვაღელვებდა.

— ნეტავი, ლენინს მოესმინა, როგორი ორატორები გვყავს ჩვენ პიტერელ ბოლშევიკებს შორის! — ვუთხარი ჩემთან ერთად მიტინგზე მყოფ ამხანაგს.

ამხანაგმა გაიღიმა და არაფერი მიპასუხა. მერე, როცა ტრამვაიდან ჩამოვედით და წყნარი და უკაცრიელი ოხტენის ქუჩით შინისაკენ გავემართეთ, დარწმუნებულმა, რომ არავის შეეძლო ჩვენთვის მოესმინა, მან მითხრა:

— შენ ამბობ, ნეტავი, ლენინს მოესმინაო... კარპოვი ხომ იგივე ლენინია. მხოლოდ ამის გახმაურება არ შეიძლება. ვლადიმერ ილიჩი არალეგალურად ცხოვრობს.

ამ მიტინგზე მე პირველად ვნახე ლენინი და მოვუსმინე მას. ბევრი მძიმე დღე გადავიტანე მას შემდეგ, მაგრამ ყოველთვის ვიგონებდი იმ მიტინგს, ლენინის სიტყვას და მასში ვპოულობდი ძალას ახალი განსაცდელის გასამკლავებლად. განსაცდელი კი მეტისმეტად მკაცრი იყო. რევოლუციის დამარცხების შემდეგ დადგა სასტიკი რეაქციის დღეები.

ბეხლის ალბომის ფაბრიკის ალაყაფზე, სადაც მე ვმუშაობდი, გამოაკრეს სამუშაოდან დათხოვნილი გაფიცულების სია. ამ სიაში ჩემი გვარიც იყო შეტანილი. შემდეგ მე დიდი გაჭირვებით მოვახერხე საფეიქრო ფაბრიკაში მოწყობა, მაგრამ ათი დღეც არ იყო გასული, რომ კანტორაში გამომიძახეს, მომაყარეს იმ ათ დღეში გამომუშავებული გროშები და მითხრეს, რომ ფეხი აღარ დამედგა ფაბრიკაში. მე მოვხვდი „არაკეთილსაიმედოთა“ რიცხვში.

ამ მძიმე წლებში ბევრი ჩვენი ამხანაგი საპყრობილეში გამოამწყვდიეს და შემდეგ კატორღის გზას გაუყენეს. მაგრამ ბოლშევიკების დაშინება არავითარ რეპრესიებს არ შეეძლო.

ჩვენ გვეხმარებოდა ლენინი, გვეხმარებოდა მითითებებით, სტატიებით, წერილებით. ლენინის შრომებს ჩვენ, ოხტენელ ბოლშევიკებს, გვაცნობდა ვერა მიხეილის ასული ველიჩკინა, პეტერბურგის ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიური მოღვაწე, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის მეუღლე.

...დადგა 1917 წელი. თვითმპყობელობა დაემხო, მაგრამ მალე დავრწმუნდით, ნაადრევი რომ იყო ზეიმი, დროებითი მთავრობისაგან ხალხი ვერც პურს მიიღებდა, ვერც თავისუფლებას და ვერც მშვიდობას.

იმ დროს მრჩილავად ვმუშაობდი ქარხანა „პრომეტის“ ჭურვის სახელოსნოში.

მახსოვს ჩვენ, ქარხნის ბოლშევიკი აგიტატორები, როგორ განვიხილავდით პარტიის რაიონულ კომიტეტში ლენინის შრომის — „წერილები შორიდან“ — პირველ წერილს, რომელიც „პრავდაში“ დაიბეჭდა.

იმ დღეებში ბოლშევიკები განსაკუთრებით გრძნობდნენ, თუ როგორ საჭირო იყო ლენინი რუსეთში, პეტროგრადში, უშუალოდ რევოლუციის სათავეში. და აი დადგა დიდი ხნის ნანატრი საათი ბელადთან შეხვედრისა.

მე წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი დაუვიწყარი შეხვედრის მოწმე ფინეთის ვაგზალზე.

ერთხელ, როცა ლენინი ახალჩამოსული იყო, მე შევიარე ბონჩ-ბრუევიჩებთან, რომლებთანაც საერთოდ ხშირად დავდიოდი. ვერა მიხეილის ასულმა სასადილოში შემიწვია. სუფრაზე ჩაი იყო გაწყო-

---

**იბეჭდება შემოკლებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი. ვხედავ, პატარა ოთახიდან გამოვიდნენ მარია ილიას ასული, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, ოლმინსკი და ვლადიმერ ილიჩი.

— ვლადიმერ ილიჩ, აი ჩვენი გრუშა.

— სად მუშაობთ ახლა? — მკითხა ილიჩმა.

— ქარხანა „პრომეტში", — მივუგე მე.

ლენინმა დაწვრილებით გამომკითხა, თუ როგორ მიდიოდა ჩვენი საქმეები, როგორი იყო განწყობილება მუშათა რაიონში, როგორ მუშაობდა რაიონული საბჭო, რა კომისიები არსებობდა საბჭოში, როგორ მონაწილეობდნენ ბოლშევიკები პროფკავშირების მუშაობაში.

— ჩვენ ხელში უნდა ავიღოთ პროფკავშირები, კოოპერატივები, პირველი საჭიროების საგნების გამნაწილებელი კომიტეტები და სხვა ორგანიზაციები, — წარმოთქვა ილიჩმა.

ლენინის ჩამოსვლის შემდეგ პეტროგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობა გაცხოველდა.

ამას რევოლუციის მტრებიც კი მიხვდნენ. ისინი ღმუილით შეხვდნენ ლენინის აპრილის თეზისებს. ლენინის დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა ივლისის დემონსტრაციის შემდეგ, დროებითმა მთავრობამ გამოსცა მისი დაპატიმრების შესახებ ბრძანება, მაგრამ პარტიამ საიმედოდ დამალა მისი ბელადი.

ჩვენი რაიონის მუშები ხშირად იკრიბებოდნენ მიტინგზე ოხტენის ხიდთან. აქ ჩვენ, ბოლშევიკებს, სასტიკი შეჯახება გვიხდებოდა მენშევიკებთან და ესერებთან. მახსოვს ერთ ასეთ მიტინგზე ვერც კი მოვასწარი სიტყვის დაწყება, რომ მოისმა ვიღაცის ღვარძლიანი შეძახილი:

— ყური არ უგდოთ ბოლშევიკებს! დაე, მან გვითხრას, სად არის მათი ლენინი?

— ლენინი თავის პოსტზეა, ამხანაგებო! — მივმართე მე შეკრებილ მუშებს, — ლენინი რევოლუციის სათავეშია.

— სად არის იგი? სად? — არ ცხრებოდა პროვოკატორი.

— ისეთმა არამზადამ, როგორიც შენა ხარ, არ უნდა იცოდეს, სად არის ლენინი.

გაისმა მოწონების გუგუნი. ვიღაცამ პროვოკატორს ქეჩოში ჩაავლო ხელი, მაგრამ იგი დაუსხლტა და მიიმალა.

მიუხედავად მტრების გაავებისა, ბოლშევიკების გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. ივლისის დღეებში, კორნილოვის ამბოხების ჩაქრობის დღეებში, მუშები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებოდნენ, რომ მხოლოდ ბოლშევიკები იცავდნენ ხალხის ინტერესებს.

...როცა პარტიამ ხალხს დროებითი მთავრობის დამხობისაკენ მოუწოდა, სმოლნისაკენ დაიძრნენ წითელგვარდიელთა შეიარაღებული რაზმები.

...სმოლნისწინა მოედანს არყევდა ჯავშნოსანთა გუგუნი, ზარბაზნების მძიმე გრუხუნი, მოტოციკლების ტკაცანი, შაშხანების ღრჭიალი, გახურებული ცხენების თქარა-თქური. მიწის ზედაპირს ეფინებოდა შემოდგომის ნისლთან შეერთებული კოცონების კვამლი. აქედან ქალაქის სხვადასხვა მხარეს იგზავნებოდა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული მუშების, ჯარისკაცებისა და მეზღვაურების რაზმები.

...თეთრსვეტებიან სააქტო დარბაზში თავი მოიყარეს ქვეყნის ახალმა ბატონ-პატრონებმა, — სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატებმა. აქ იყვნენ მთელი რევოლუციური რუსეთის წარმომადგენლები.

ყრილობის პირველი სხდომა გაიხსნა 25 ოქტომბერს, ღამით. ამ სხდომას ლენინი არ დასწრებია. იგი იქვე, სმოლნში იყო და აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ყრილობის მეორე სხდომა 26 ოქტომბერს გვიან საღამოს შედგა. ჩვენ თვალს არ ვაცილებდით პრეზიდიუმს, ველოდით ლენინის გამოჩენას. და აი იგი გამოჩნდა, ჩქარი ნაბიჯებით გაეშურა ტრიბუნისაკენ. ყველანი ფეხზე წამოვხტით, და ენით გამოუთქმელი სიხარულით მოცულებმა, ტაში დავცხეთ, ავტეხეთ ყიჟინი, ვესალმებოდით ჩვენს საყვარელ ბელადს.

ლენინმა ხელი ასწია. იგი სიჩუმეს მოითხოვდა.

თავისი პირველი სიტყვა ყრილობაზე ლენინმა მიუძღვნა ზავის საკითხს. წაიკითხა მოწოდება ყველა მეომარი ქვეყნის ხალხებისა და მთავრობებისადმი. მოწოდებაში წამოყენებული იყო წინადადება დაუყოვნებლივ დაწყებულიყო სამართლიან და დემოკრატიულ ზავზე მოლაპარაკება. ყრილობის მიერ ერთსულოვნად მიღებული ეს მოწოდება შემდეგ გამოქვეყნდა როგორც ცნობილი „დეკრეტი ზავის შესახებ."

ასევე ერთსულოვნად მიიღო ყრილობამ „დეკრეტი მიწის შესახებ", რითაც ხორცი შეასხა გლეხობის საუკუნეობრივ ოცნებას.

და კვლავ იქუხა ტაშმა, როცა საბჭოების ყრილობამ შექმნა ახალი, მუშურ-გლეხური მთავრობა ლენინის მეთაურობით.

თენდებოდა, როცა ჩვენ სააქტო დარბაზიდან გამოვედით. სმოლნში კი კვლავ გრძელდებოდა ცხარე, დაძაბული ცხოვრება.

რამდენიმე დღის შემდეგ საწარმოებში შექმნილ რევოლუციურ სამეულთა წარმომადგენლები სმოლნში გამოგვიძახეს. თათბირს ხელმძღვანელობდა ლენინი. იქვე იყვნენ ი. მ. სვერდლოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, ი. ბ. სტალინი.

— კონტრრევოლუციამ თავი წამოჰყო. აუცილებელია შეიქმნას მუშათა შეიარაღებული „ათეულები". დაევალოს მათ ჩაატარონ ჩხრეკა ბურჟუათა ბინებში, იპოვონ და ჩამოართვან იარაღი და საბრძოლო მასალებიო, — ამბობდა იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი.

შემდეგ გამოვიდა ვლადიმერ ილიას ძე.

— საჭიროა, — თქვა მან, — გამოიყოს სანდო, რევოლუციის ერთგული ადამიანები. დაე შეიარაღებულ „ათეულებში" შევიდნენ უპარტიონიც, მაგრამ საიმედო, შემოწმებული ამხანაგები.

იქვე დაინიშნა „ათეულების" მეთაურები. ერთ-ერთი „ათეულის" მეთაურობა მეც დამევალა...

...1918 წლის იანვარში ლენინს შევხვდი ბონჩ-ბრუევიჩებთან გამართულ ნაძვის ხეზე. იქვე იყვნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მარია ილიას ასული. ვლადიმერ ილიჩი დაინტერესდა: გვქონდა თუ არა ნაძვის ხე მუშების ბავშვებისათვის. მე ვუთხარი, რომ ჩვენ ნაძვის ხე მოვაწყვეთ კოოპერატივში, ერთ-ერთ საჩაიეში, მეპაიეთა და ღარიბთა შვილებისათვის. ნაძვის ხის სათამაშოები ჩვენ თვითონ გავაკეთეთ; ბავშვებს დავურიგეთ საჩუქრები — ქიშმიში და შაქლამი, სხვა ჩვენ არაფერი გვქონდა-მეთქი.

— საჭიროა ვიზრუნოთ ბავშვებზე და მივანიჭოთ მათ მეტი სიხარული, — თქვა ილიჩმა.

1918 წლის ნოემბერში მე გავემგზავრე მოსკოვში, მუშა ქალთა სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე. ყრილობაზე გამოვიდა ვლადიმერ ილიჩი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მისცეს ქალს სრული თანასწორუფლებიანობა, საჭიროა მოვიზიდოთ ქალი სახელმწიფოს მართვაში აქტიური მონაწილეობისათვისო, — ამბობდა იგი.

ყრილობის ზოგიერთი დელეგატი ჯერ კიდევ განიცდიდა წვრილბურჟუაზიული პარტიების გავლენას. ლენინის სიტყვამ მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, დაეხმარა მათ გარკვეულიყვნენ რთულ ვითარებაში. მახსოვს, ვლადიმერ ილიჩის გამოსვლის შემდეგ ერთი ანარქისტი-დელეგატი ქალი სკამზე შეხტა და ხმამაღლა მიმართა მთელ ყრილობას: მიმიღეთ თქვენს პარტიაშიო.

უკანასკნელად ლენინი 1919 წლის ბოლოს ვნახე. პეტროგრადელი კომუნისტების ჯგუფი უკრაინაში გაიგზავნა. ამ ჯგუფში მეც შევდიოდი. მოსკოვში ჩვენ უნდა შევვლო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში — ე. დ. სტასოვასთან. როცა მე მივედი, ელენე დიმიტრის ასულმა დაურეკა ნ. კ. კრუპსკაიას. ილიჩი იმ დღეებში ავად იყო — თავი იჩინა ავაზაკური თავდასხმის შედეგმა, რომელიც 1918 წელს მოაწყვეს ლენინზე. ნ. კ. კრუპსკაიამ ნება დამრთო ცოტა ხნით შევსულიყავი ლენინთან. ილიჩი სავარძელში იჯდა. იგი მელაპარაკა, თუ როგორ უნდა დაგვეჭირა თავი ჩვენ, პეტროგრადის წარგზავნილებს, უკრაინაში. ამასთან, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩვენ არ შეგველახა უკრაინელთა ეროვნული სიამაყე. გამოთხოვებისას ლენინმა მთხოვა გადამეცა ჩემი ამხანაგებისათვის მისი სალამი და მუშაობაში გამარჯვების სურვილები.

ლენინთან შეხვედრების დაუვიწყარი დღეები ჩემი ცხოვრების ყველაზე უკეთესი, ყველაზე ნათელი დღეებია.

**კრებულიდან — „ლენინი ოქტომბრის ბელადი".**

**„პეტროგრადელი მუშების მოგონებანი".**

„ლენიზდატი", 1957 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გეგეჭკორლები

ამას წინათ ჩვენი ჟურნალის რედაქციის მუშაკები ეწვივნენ გეგეჭკორის რაიონის მშრომელებს, გააცნეს მათ თავიანთი მუშაობის გეგმები, საიუბილეო თარიღთან, რევოლუციის 50-ე წლისთავთან დაკავშირებული ამოცანები, მოისმინეს მკითხველების — გეგეჭკორის რაიონის ინტელიგენციისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების საყურადღებო შენიშვნები და სურვილები, რასაც რედაქცია თავის შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებს.

რედაქციის მუშაკებმა დაათვალიერეს რაიონი, გაეცნენ რაიონის მშრომელთა ცხოვრებას და შრომას, მოწინავე ადამიანებს. ყველგან, ხადაც შრომობენ ეს ადამიანები: ფაბრიკაში, სკოლაში, მინდვრად თუ მუზეუმში — იგრძნობა შემართება, მკლავმოუღლელობა, მიღწეული წარმატებით დაუკმაყოფილებლობა, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის სამზადისი.

შემოგვათენდა. თვალსა და ხელშუა მოგვეპარა დიდი, მრგვალი მზე. ამოვიდა, ხეებს შორის გაჩერდა და სხივები მოგვაყარა. ზემოდან დაგვყურებდა გეგეჭკორის სიამაყე — მარტვილი. ძნელად მოიპოვება ასეთი ლამაზი ადგილი მონასტრისათვის. შორიდან, რაიონულ ცენტრში შესვლამდე კარგა ხნით ადრე დაინახავთ ქართველთა ამ ძველ სალოცავს.

უმარტვილოდ სილამაზე მოაკლდებოდა გეგეჭკორის ახალი ნაგებობებით დამშვენებულ ცენტრს. კულტურის სახლი, ადმინისტრაციული შენობები, უნივერმაღი და ეს ლამაზი შუა მოედანი შესანიშნავად ეხამება მაღლა წამომდგარ მონასტერს, რომელიც თითქოს აქ შემოსასვლელ კარებს დარაჯობს, ხან ნისლის თავსაბურავს იხვევს, ხან კი აკაშკაშდება და მზეს თვითონაც სხივებს უგზავნის.

ხუთიოდე წლის წინ რაიონს ბევრი რამ აკლდა. სამი სკოლა სოფლად უკანასკნელ სამ წელიწადში აშენდა. ქალაქის ცენტრში ორი საცხოვრებელი სახლი წამოიჭიმა, გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, დიდი ჭყონისა და აბედათის მშრომელებმა კულტურის ახალი სახლი მიიღეს, აიგო ხიდები მდინარე ტეხურსა და აბაშაზე, გაიყვანეს ახალი გზები, სალხინოში გაიხსნა უნივერმაღი, გეგეჭკორში ააშენეს სასამართლო-პროკურატურის და სხვა დაწესებულებათა ახალი შენობები.

მშენებლობა კვლავაც არ წყდება. სერგიეთში აგებენ საშუალო სკოლას, მიმდინარეობს ლებარდის გზის რეკონსტრუქცია, ბანძაში იქნება უნივერმაღი, აშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, 5 კლუბი შეემატება სოფლებს.

რაიონში მშენებლობა ადვილი როდია, თუ ამ საქმეს ყველამ ხელი არ მოჰკიდა, თუ მამები არ გამოვიდნენ მშენებლობაზე იმ რწმენით, რომ ეს მათთვის და მათი შვილებისთვისაა, თუ ამ მშენებლებს ახალგაზრდებიც არ შეუერთდნენ, რომლებსაც ჯერ ქორწილი არ გადუხდიათ, თუ ყველას ერთი, უნარიანი ხელმძღვანელი არა ჰყავს. გეგეჭკორლების ასეთი ხელმძღვანელი არის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ ჩხოლარია.

ნოდარი ერთნაირად ფიქრობს ჩაიზე, აბრეშუმსა და მესაქონლეობაზე, ახალ გზებზე, საბავშვო ბაღებსა და საცხოვრებელ სახლებზე. თუ შარშან რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის, აბრეშუმის პარკისა და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმები, წელს საიუბილეო, 50-ე წლისთავზე უფრო მეტია გასაკეთებელი.

მაგრამ რაიკომის მდივანი ზედმეტ ფუსფუსსა და დავიდარაბაში არ არის. მას იმის დროც აქვს, რომ წერილის მიღებისთანავე შორეულ სოფელში დამდურებულ ცოლ-ქმარს ესტუმროს, ჩამოჯდეს მათთან, მოუსმინოს, თავისიც უამბოს და მათი ოჯახური საქმე თითქმის მოწესრიგებული დასტოვოს. ანდა, შორეულ სოფელში წვიმისაგან გადარეცხილ გზაზე ვილისით აიჭრას, მრავალშვილიანი ოჯახის კარი შეაღოს, ერთმანეთის მომდევნო ბავშვებს მიუალერსოს, რამდენიმე სიტყვა უთხრას მათ მშრომელ დედას.

რაიონს კარგი ხელმძღვანელის ხელი მაშინვე ეტყობა.

წელს სასიხარულო ცნობა მოვიდა: დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკამ, რომელსაც ვიქტორ ხვიჩია 14 წელია ხელმძღვანელობს და რომელსაც მთავარ ინჟინრად, აგერ 25 წელია, დავით შანიძე ჰყავს, საკავშირო გარდამავალი დროშა მიიღო.

ეს იმიტომ მოხდა, რომ 1966 წლის საწარმოო მაჩვენებლები წინა წლებთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო, შარშან ფაბრიკამ გეგმით გათვალისწინებული 1795 ტონა ნედლი ჩაის ფოთლის ნაცვლად მიიღო და გადაამუშავა 2211 ტონა ფოთოლი. გადამუშავებული ჩაის ფოთლის 71 პროცენტი პირველი ხარისხის იყო, რაც მეჩაიეთა დამსახურებაცაა. ფაბრიკამ 441 ტონა ჩაის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 544



დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკა.



ჟენია კვარაცხელია

ტონა ჩაი და წლიური გეგმა 123,4 პროცენტით შესრულა.

პროდუქციის საერთო მოცულობაში მაღალი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონა გეგმასთან შედარებით რვა პროცენტით გადიდდა.

ასორტიმენტის გაუმჯობესების შედეგად 94 ათასი მანეთის ეკონომია მიიღეს.

დიდი ჭყონის № 1 ფაბრიკა 1933 წელს აშენდა. თავდაპირველად იგი 500 ტონა ჩაის ამუშავებდა, რამდენსაც ახლა ერთი კოლმეურნეობა იძლევა. 1933 წლიდან მხმობელად მუშაობს ფაბრიკაში ჟენია კვარაცხელია. 1933 წელს იგი 16 წლის იყო და ყველაზე ძნელი პროფესია აირჩია. სიძნელე ის არის, რომ ჩაის ხმობა მაღალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს. მაშინ შეშით ახმობდნენ, არ იყო მექანიზაცია და ჟენიას მთლიანად ხელით უხდებოდა შრომა. ახლა ყოველდღიურად 12 ტონა გამხმარი ნახევარფაბრიკატი მას ხელით კი არ გამოაქვს, არამედ სპეციალური გამომტანით.

Sალხინოს სკოლა-ინტერნატს რომ ჩავუარეთ, მანქანა გავაჩერეთ და ეფროსინე თოდუა ვიკითხეთ. ამ პატარა მხარეში იგი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი იყო. სალხინოს ნახვისას კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, თუ რისთვის იბრძოდნენ ადამიანები, რისთვის იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მათი მონაპოვარია ხეივნებით დამშვენებული სოფელი, ლამაზი საცხოვრებელი სახლები, მძლავრი კოლმეურნეობა, ქალაქის ტიპის საავადმყოფო, სკოლა-ინტერნატი.

ეფროსინე თოდუა სკოლა-ინტერნატში ბიოლოგიას ასწავლის. 1 ჰექტარი საცდელი ნაკვეთი აქვთ მის მოსწავლეებს და სოფლის მეურნეობის კულტურები მოჰყავთ. ეფროსინეს ახსოვს 1928 წელი, როცა სოფელ სალხინოში ქალთა მებოსტნეობის არტელი ჩამოაყალიბა. შემდგომში არტელის წევრები კოლმეურნეობაში პირველნი შევიდნენ.

უფრო ადრე, 1918 წელს, ეფროსინე თოდუა სამა გეგეჭკორის პარტიზანულ რაზმთან იყო დაკავშირებული. ცნობების მიტან-მოტანასა და სხვა დავალებების შესრულებაში აქტიურად მონაწილეობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ეფროსინე კომკავშირში შევიდა.

როგორც ქალთა შორის მომუშავე, იგი იყო ქალთა სამაზრო, რესპუბლიკური და ამიერკავკასიის ყრილობების დელეგატი. შემდეგ იგი სალხინოს უბნებში ატარებდა ქალთა კრებებს და აშუქებდა ყრილობის შედეგებს.

1927 წელს იგი პარტიის რიგებში შევიდა.

1928-29 წლებში იყო სალხინოს ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანი.

1930-1932 წლებში მუშაობდა ცხაკაიაში ბავშვთა სახლის გამგედ.

1932 წელს დაამთავრა თბილისის მუშფაკი და უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

მას შემდეგ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, არის რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი და შესანიშნავ მოქალაქეებს ზრდის. კარგის მეტს რას ისწავლიან სალხინოელი მოზარდები თავიანთი მასწავლებლის მშვენიერი ცხოვრებიდან.

ოჯალეშის ახალი სამშობლო ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაა, რომელიც 1965 წლის მაისში სწორედ ოჯალეშის აღდგენისა და განვითარებისათვის შეიქმნა.

სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი წერდა:

„უპირველეს ღვინო არის ოჯალეშისა, რომელიც მოდის სალხინოს მაღალს ხურმის ხეებზედ შეშვებულს ვენახის ნაყოფიდან".

მკვლევარების აზრით ეს ჯიში სამეგრელოში, მდინარე ტეხურის ხეობაში ყოფილა გავრცელებული.

სალხინოს რამდენიმე ჰექტარი ოჯალეში თითქმის არაფერს ნიშნავდა. ისევ სამეგრელოში უნდა გაცოცხლებულიყო ძველი კულტურა. ამ მიზნით დაიწყო ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ძვირფასი ვაზის გაშენება. ახალ ხუთწლედში მეურნეობას ოჯალეში 300 ჰექტარზე ექნება.

მეურნეობის დირექტორი იოილ გაბუნია ამ საქმეზე შეყვარებული კაცია. ძველი, გამოცდილი მეურნე დიდ საქმეს შედგომია. ხუთწლედში მეურნეობას 300 ჰექტარი ოჯალეშის გარდა კიდევ 100 ჰექტარი სხვა ჯიშის ვენახი ექნება. 100 ჰექტარზე — ხეხილი, 15 ჰექტარზე — დაფნა. ხუთწლედის სამუშაოები კარგა ხანია დაიწყო. 40 ჰექტარზე ჩაის უვლიან ქალები, მოჰყავთ აბრეშუმის პარკი, აშენებენ ოჯალეშს. სასახელო მაჩვენებლები აქვთ ვენერა ეჯიბიას, ნინო ქაჯაიას, ლიდა ბაახიას და სხვებს.

ეფროსინე თოდუა



პირველ მოსავალს ძვირფასი ვაზი 1968 წელს მოიტანს 7 ჰექტარზე. შემდეგ წლებში ახალი ვენახები დაიკრიფება. კრეფა, ალბათ, ნოემბრის შემდეგ დაიწყება, როცა ოჯალეშში მოასწრებს წყლის აორთქლებას და შეჭკნობას. ამიტომაც არის იგი ესოდენ მდიდარი შეფერილობის და მაღალალკოჰოლიანი.

გეგეჭკორის რაიონი ამ საუკეთესო ღვინის მთავარი მიმწოდებელი იქნება.

ლია კაკაბაძე

ვიდრე რაიონის ცენტრში შეხვიდოდეთ. არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიპყროს ახალმა თეთრმა შენობამ. მის ჭიშკართან ერთთავად დგანან ადამიანები, განიცდიან, ღელავენ. გამოჩნდება თუ არა ვარდო გეგეჭკორი, მოწიწებით უთმობენ გზას და საავადმყოფოს კარამდე აცილებენ.

ვარდო სწრაფი ნაბიჯებით აივლის კიბეებს და ვიდრე ხალათს გადაიცვამდეს, ფაცია უჩავა დაწვრილებით უამბობს მშობიარის ჯანმრთელობის შესახებ. „ერთ თვალს, ორი თვალი სჯობიაო“,— იტყვის ვარდო და ავადმყოფის ისტორიას თვალს გადაავლებს. მერე განყოფილებას დაივლის, ახალმოსულს ნახავს, გასინჯავს, წვრილად გამოჰკითხავს ყველაფერს, მის ჯანმრთელობას შეამოწმებს. შემდეგ დედებს მოინახულებს. ყველა პალატაში შევა. ყველას სათითაოდ გაუჩერდება, მოიკითხავს. პალატებიდან გამოსული, ახალშობილების განვითარების ისტორიას ჩაუჯდება.

ექთანი ფრთხილად მოაკაკუნებს კარზე, ვარდომ იცის, ეს სიგნალია. მშობიარობა იწყება. სულ ერთია, მშობიარობა ნორმალურია თუ არა, მთავარი ექიმი მაინც ავადმყოფთან ტრიალებს, მუდამ მზადყოფნაშია.

ასეთ ნერვიულობაში გადის დღე. ბინდი ჩამოწვება ფანჯრებში. ვარდო ხალათს იხდის, ქუჩაში გამოდის. შინ მიმავალს ფიქრები მოეძალება.

მაშინ ვარდო ქალაქ ზუგდიდის საავადმყოფოში მუშაობდა ორდინატორად. ახალგაზრდა იყო და ბედნიერი, ჰყავდა ვაჟკაცი ქმარი და ნანატრი ქალ-ვაჟი. მის სახეზე სიხარული ეწერა მხოლოდ, რომ საიდანღაც უბედურება წამოეპარა...

დარჩა ქალი ცალად. წუთით არ უფიქრია მეორედ ეცადა ბედი. სოფელ ნახარებოუში დედამთილთან დაიდო ბინა.

იმ დროს ომის ჭრილობებს იშუშებდნენ ადამიანები. ათსაწოლიან სამშობიარო სახლში კანტი-კუნტად მოდიოდნენ ქალები. ბევრი ქალი შინ მშობიარობდა სოფლის ექიმბაშის დახმარებით და ამიტომ ხშირი იყო მსხვერპლი. ვარდომ თავის საქმიანობა ამ მავნე ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. იგი ფეხით გადადიოდა სოფლიდან სოფელში, ესაუბრებოდა ქალებს, უკითხავდა ლექციებს, არიგებდა ახალგაზრდა დედებს, აფრთხილებდა მათ, რომ უვიცის ხელს შეეძლო საფრთხეში ჩაეგდო ორი ადამიანის სიცოცხლე. ამის შემდეგ მასობრივად იწყეს ქალებმა სამშობიაროში მოსვლა. აქ კი ვარდოს მადლიანი ხელი ყველაფერს აკეთებდა ადამიანის სიცოცხლისათვის.

გავიდა წლები, მომრავლდნენ მრავალშვილიანი დედები. ათსაწოლიანმა საავადმყოფომ ვერ დაიტია ავადმყოფები, ახალი ააგეს...

სასწრაფო დახმარების მანქანის სიგნალზე წყდება ფიქრი. აღელვებული ვარდო ჯდება მანქანაში. მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქრის სალხინოსაკენ.

სალხინოს საუბნო საავადმყოფოში აუტანელი ტკივილებით გათანგული ქალი იმედით შესცქერის ექიმს. მისგან გადაუდებელ დახმარებას მოითხოვს. იწყება ოპერაცია. მერე ძალაგამოლეულ ქალს მადლიერი ღიმილი ჩაუდგება თვალებში და ვარდო თავისუფლად ამოისუნთქავს...

მართალია, გეგეჭკორის რაიონის ყველა სოფელშია სამშობიარო საწოლები და საუბნო საავადმყოფოები, მაგრამ გაჭირვების დროს უთუოდ ვარდოს მიაკითხავენ. აღვიძებენ ღამით, ურეკავენ დილაადრიან, სთხოვენ კონსულტაციას, ეძახიან საოპერაციოდ და ისიც დაუზარებლად მიდის ყველგან ახალი სიცოცხლის გადასარჩენად...


ახალი უნივერმაღი

ახლაც ისეთივე მოქნილია და მარჯვე, ახლაც ისეთივე მოუსვენარია და პირდაპირი, როგორც მაშინ, როცა ახალბედა მივიდა ზედანაგვაზოუს შვიდწლიან სკოლაში. ნირიც არ შესცვლია პირველ გაკვეთილზე. გამოცდილი მასწავლებელივით იდგა მერხთან და ხსნიდა ახალ გაკვეთილს ქართულ ლიტერატურაში. ეს იყო 1937 წელს.

1939 წელს დუნია სურმავა კომკავშირის რაიკომში გადაიყვანეს, ჯერ სასკოლო განყოფილების გამგედ, 1941 წელს კი კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. რაიონის ახალგაზრდობა შემოიკრიბა დუნიამ და ზარში ამოუდგნენ უკაცოდ დარჩენილ ოჯახებს. თოხნიდნენ, ბარავდნენ, აგროვებდნენ ფრონტისათვის თბილ ტანსაცმელს, ხილს. ყველგან იგრძნობოდა დაუოკებელი ახალგაზრდული ცეცხლი...

1945 წელს დუნია გეგეჭკორის საბავშვო სახლის დირექტორად დანიშნეს. ცარიელი შენობა მისცეს და, დანარჩენი შენთვის მოგვინდვიაო, — უთხრეს.

ომისაგან დაობლებული ბავშვები საცაა კარზე მოადგებოდნენ და მათ დასახვედრად არც ლოგინი ჰქონდათ, არც ტანსაცმელი. ყველაფერი ეს საჩქაროდ უნდა გადმოეზიდათ ადიგენიდან. ადიგენში წასვლა მკაცრ ზამთარში ქალს კი არა, ვაჟკაცს უჭირდა. დრო არ ითმენდა. დუნიამ ფეხზე ჩექმები მოირგო, ნაბადში გაეხვია, პატარა პეტრე დედას ჩააბარა და გზას გაუდგა...

სულ მალე გეგეჭკორის საბავშვო სახლში ბავშვების უდარდელი კისკისი გაისმა. დუნიას მშობლიურმა სითბომ გზა გაიკაფა პატარების გულებისაკენ. მათზე ზრუნვაში როგორ გავიდა ოთხი წელი, არ გაუგია...

მერე დუნიამ ხუთი წელი სოფელ ლეციცხვაიეს მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორად იმუშავა...

1956 წლიდან დღემდე ამავე სოფლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილს განაგებს.

ამ სოფელში თითქმის ყველა ახალგაზრდა მისი აღზრდილია. ვინ მოთვლის, რამდენი ღამე გაუთენებია მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

სასწავლო ნაწილის გამგემ მუდამ იცის, რომელ მოსწავლეს რა საგანში უჭირს. იცის თითოეული მათგანის აკადემიური წარმატება. ჩამორჩენილებს ეხმარება. მიდის ოჯახებში, ამოწმებს მათი ცხოვრებისა და მეცადინეობის პირობებს.

უყურებ და გიკვირს, — საიდან აქვს მას ამ-



ნინო გაბისონია და ქსენია გალდავა

დენი ენერგია! ოჯახი, სკოლა, ბავშვები, საზოგადოებრივი და პარტიული დავალებანი. 29 წელია დუნია რაიკომის შტატგარეშე პროპაგანდისტია, ყოველწლიურად 60-70 კილოგრამ პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკს აბარებს სახელმწიფოს, ასობით კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

როგორც კი დროს იშოვის, ორი სტუდენტის დედა თბილისში მიდის, სურსათ-სანოვაგე მიაქვს შვილებისათვის, მერე გზაში გაცდენილ დროის ასანაზღაურებლად გვიან ღამემდე უზის სამუშაო მაგიდას.

რაიონის ცენტრში ახალი კეთილმოწყობილი უნივერსალური მაღაზია დგას.

მაღაზიის კარი იღება. განუწყვეტლივ შემოდიან ადამიანები. მომსვლელებს გულუხვად ხვდებიან ლურჯხალათებში გამოწყობილი მომღიმარი გამყიდველები. საქონლით სავსე დახლთან ფუსფუსებენ ისინი და საყიდლებზე ამოსულ კოლმეურნეებს საქონლის არჩევაში ეხმარებიან. ერთმა სარეცხი მანქანა შეარჩია და იყიდა, მეორემ — რადიომიმღები, მესამემ — ტელევიზორი.

ქსოვილების სექციასთანაც ბევრი მყიდველია. დედაშვილმა სექციის გამგეს ქსენია გალდავას სხვადასხვა ფერის საკაბე ქსოვილი რამდენჯერმე გადმოაღებინეს, მერე ქსენიას გემოვნებას ენდვენ და იყიდეს.

სატრიკოტაჟო სექციასთან უამრავი ხალხი ტრიალებს. აქ მათ წარბშეუხრელად ემსახურება ნინო გაბისონია.

ქსენიას და ნინოს რაიონის ცენტრში ყველა მშრომელი იცნობს, ყველა ესალმება. იცნობენ შორეული სოფლის მცხოვრებლებიც კი.

მათ იციან, რომ სასოფლო მაღაზიები ვერ აკმაყოფილებენ კოლმეურნეების მოთხოვნილებას, ამიტომ ყოველ კვირა დილას, სხვადასხვა ასორტიმენტის საქონლით დატვირთული მანქანა დგება ხან დიდი ჭყონის, ხან ბანძის ბაზრის წინ. ქსენია და ნინო. როგორც ყოველთვის, მომხმარებლებს თავაზიანად ეგებებიან, კეთილად ემსახურებიან და საქონლის ბრუნვის გეგმას ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებენ.

უნივერმაღში ყველა სექცია კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდებისათვის იბრძვის.

ქსენია გალდავას და ნინო გაბისონიას სექციებმა ეს სახელწოდება დიდი ხანია მოიპოვეს. სექციონერები მშრომელთა კულტურული მომსახურების და პატიოსანი ვაჭრობის მაგალითს აძლევენ ახალგაზრდა გამყიდველებს: სერგო ჟორდანიას, ციალა ჩანკვეტაძეს, ზურაბ თალაკვაძეს, ლია ჯვებენავასა და სხვებს.

სამი ათეული წლის მანძილზე კეთილსინდისიერი მუშაობისა და გეგმების ყოველთვიურად გადაჭარბებით შესრულებისათვის ქსენიამ და ნინომ დაიმსახურეს მრავალი ჯილდო, მათ შორის მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ოლია რევია

დუნია სურმავა





ვარდო გეგეჭკორი ავადმყოფთან

სამეგრელოში სტუმრად ჩასულ ილია ჭავჭავაძეს მექი ფალავას ოჯახში პირველად საქართველოს სადღეგრძელო შეუსვამს ახალთახალი ყანწით. მას შემდეგ ყანწს არავის პირი არ დაჰკარებია. მას ინახავდნენ როგორც ძვირფას რელიქვიას. დღეს ეს ყანწი გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ამშვენებს. თავისი საქმის, თავისი მხარის დიდი სიყვარული, — აი, რამ შეაძლებინა ამ მუზეუმის თანამშრომლებს, და უპირველეს ყოვლისა დირექტორს — გივი ელიავას, შეექმნათ სანიმუშო მუზეუმი. ყოველი ნივთი, ყოველი დოკუმენტი, ყოველი მასალა, რაც რაიონის ცხოვრებას, აწმყოსა თუ წარსულს ასახავს, საგულდაგულოდაა შერჩეული, მოვლილი, აღნუსხული. ჩვენ მთელი დღის განმავლობაში ვათვალიერებდით მუზეუმის დარბაზებს. ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა, რამაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, რამაც დაგვაინტერესა და კარგა ხნით შეგვაჩერა.

მძიმე იყო მეგრელი კაცის ცხოვრება: ებრძოდა მიწას, ოფლით რწყავდა და გვიან ღამით დაბრუნებული, ჭრაქის შუქზე შეექცეოდა მწარე ლუკმას. ამაზე მოგვითხრობს ეთნოგრაფიული კუთხის ექსპონატები. ამავე კუთხეში გაეცნობით

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგრული ფაცხა

მასალებს; ზღვით შემოსული თურქი მეკობრენი თუ როგორ აწიოკებდნენ, იტაცებდნენ და უცხოეთის ბაზარზე ჰყიდდნენ ქართველ ტყვეებს. მთავრისა და თავადების საკნებში ხუნდზე გასმული და დაბორკილი გლეხები ივსებოდნენ რისხვით. რისხვამ იფეთქა და მთელ სამეგრელოს მოედო. აჯანყებას უტუ მიქავა და მისი მეგობრები ჩაუდგნენ სათავეში. მუზეუმს მრავლად მოეპოვება მასალები ამ თემაზე. ასევე მდიდარია მუზეუმი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდის ამსახველი დოკუმენტებით, ფოტომასალებით. თქვენ წარმოიდგინეთ, რაიონის პირველი კოლმეურნეობების პირველი ოქმებიც კია გამოფენილი მინის ვიტრინებში; ჩვენ მადლობით შევხვდეთ მუზეუმის დირექტორს, რომელსაც ამავე დროს მეტად საინტერესო წამოწყება ეკუთვნის: მას შეუდგენია რაიონის ტოპონიმიკური ატლასი. გამოცემული აქვს ეთნოგრაფიული კრებულები... გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თაოსნობით ხშირად ტარდება სამეცნიერო სესიები. ჭეშმარიტად მისაბაძია ეს მაგალითი ჩვენი რესპუბლიკის ყოველი რაიონისათვის, მათი მხარეთმცოდნეობის მუზეუმებისათვის.

შთაბეჭდილებებით დატვირთულნი ვტოვებთ უკანასკნელ დარბაზსაც და აი, აქ სულ ახალი და მოულოდნელი საჩუქარი აქვს თურმე გამზადებული მუზეუმს; გივი ელიავას და მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს გივი ფარულავას ღიმილი დათამაშებთ ბაგეზე; მათ პატარა კიბით ეზოში გავყავართ. „დოხორე“, — ამბობენ ისინი და ალაგეზე გადასვლაში გვშველიან. დოხორე მოსახლეს, დასახლებას ნიშნავს. კონდარიან ეზოში მეგრელი კაცის სახლ-კარია გამართული. ესაა მუზეუმი ღია ცის ქვეშ: ისლით გადახურული ფაცხა, სასიმინდე, მარანი... თითქოს ესაა გაიღება სახლის კარი და მშვენიერი ცირა გადმოაბიჯებს. ფაცხაში დარჩებიან ნახევრად ტიტველი პატარა გოგო-ბიჭები. დედა ვიწრო აკვანში ჩააკრავს პაწაწინას და ტკბილ მეგრულ ნანას უმღერებს. მერე დაფშვნის სიმინდს, გაცეხვავს ღომს, დაუვლის ფაცხის კედელზე აკრულ საბუდრებს და კვერცხებს ამოალაგებს. ბინდისას ოჯახის უფროსი დაბრუნდება და ჭრაქის შუქზე გახედავს შვილებს. გატეხილი და შუბლშეკრული იქნება კაცი, მაგრამ გული ოქროსი ექნება. ეყვარება სტუმარი და საუკეთესოს მისთვის გაიმეტებს... დაე, შერჩეს ეს სახლ-კარი, ვით სამუზეუმო ექსპონატი ბედნიერ დღევანდელობას... აქ ხშირად დადიან გეგეჭკორლები. დადიან ისინი, ვისაც ბავშვობა ასეთ ფაცხაში გაუტარებიათ. დადიან ისინიც, ვისაც ზღაპარივით გაუგონიათ ბნელი წარსული ამბავი. პატარები, მოსწავლეები ტკრციალით იბანენ ხელპირს დოხორეს მოჩუხჩუხე წყაროზე. აგერ ეზოში შემოდის რესპუბლიკაში სახელგანთქმული მეჩაიე მარგო ჩიქვანაია. მარგო სოციალისტური შრომის გმირია და ამავე დროს გმირი დედა, თერთმეტი შვილის დედა. ბავშვები გარშემო ეხვევიან მას. მარგო ჩიქვანაია უამბობს პატარებს თავის მძიმე ბავშვობას, მოუთხრობს იმ ცხოვრებაზე, ამ დოხორეში რომ ტრიალებდა... თავის საქმის საოცრად მოყვარული გივი ელიავა ღიმილით ხვდება სტუმრებს თავის სამოსახლოში. ამ ღიმილით ათბობდა იგი უმამო ბავშვს — ჯემალ ბჟალავას, რომელიც თითქმის იშვილა მუზეუმმა. ჯემალი დღეს სამხატვრო აკადემიის II კურსის სტუდენტია. იგი ხშირად ჩადის მშობლიურ კუთხეში. შედის მუზეუმის შენობაში და უხარია, რომ დარბაზებსა და ვესტიბიულს მისი ნახელავიც ამშვენებს. ზაფხულის თვეებში ხშირად ნახავთ აქ სპელეოლოგ ჯუმბერ ჯიშკარიანსაც. ასხის მასივის მღვიმეებს იკვლევენ ახალგაზრდა სპეციალისტები და გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ცხადია, მათი საქმითაც დაინტერესებულია.

ნაზი კილასონია

ლადო სულაბერიძე

## ჩემი ბიჭის ნახატი

ჩემი ბიჭის ნახატს
სულ ჩახჩახი გაუდის.
ზედ წარწერას ნახავთ:
„გამარჯვების სალუტი“.

ჩემი ბიჭის სურათს
აქვს თავისი ფერები:
მაშხალებში ცურავს
ღამის ცა და სერები.

სალებავთა ელვას
როცა დავაჩერდები,
მაგონდება: ღელვა
და დაჭრილი მკერდები.

შორს თბილისის ნისლიც
გულის ჯიბით ვატარეთ...
დღეს ბავშვები ისევ
მზე-მაშხალებს ხატავენ.

სულ მზით იყვნენ სავსე,
ფერებს ზღვარი არ უდევს.
დე ხატავდნენ ასე
გამარჯვების სალუტებს!

## სტიუარდესა

თუ დაიქუხა და შეეშინდათ
მიწაში ფესვებგადგმულ ვარდებსაც,
მე დამიმშვიდებს ზეცას მეშვიდეს
ღიმილის ელვით სტიუარდესა.

გადავუქროლებ ღრუბლებს დახნულებს,
ზედ სიყვარულის ხორბალს დავთესა
და ცის ჭეჭილში გაიზაფხულებს
ჩემი ლამაზი სტიუარდესა.

## ხიდები

ხიდები ბონდის თუ ჩელტის
ქარებთან ათევენ ღამეს.
გზა გზას მისდევს და ელტვის,
გზა წაადგება ხრამებს.
და გზები შენთვის და ჩემთვის
ხიდებზეც ცხელ ფეხებს დგამენ.
...ხიდები ბონდის თუ ჩელტის
ქარებთან ათევენ ღამეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

# თბილი წვიმა

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

მარტოობის სევდით აბორიალებულს, საყვავილესთან ტყის ნესტიანი მიწის სუნი მომივიდა და შევჩერდი. ყვავილები და კუნძებზე შემოხვეული ხავსი ის-ის იყო მოერწყათ. მოერწყათ ტროტუარიც მაღაზიის წინ, — ვიტრინის სქელ მინას ცრემლებივით დაჰკიდებოდა მსხვილი, კრიალა წვეთები. ისე ვიდექი, თითქოს შინ რაღაც დამრჩა და მიბრუნებას ვაპირებდი. სინამდვილეში დიდი ხნის წინანდელი ამბავი მახსენდებოდა. ომიანობისას, შეღამებულზე, ქარხნიდან გამოვედი, დაღლილი, მშიერი, მუშათა მატარებლის მოლოდინში რკინიგზისპირა კბოდის ძირას მივწექი და პალტოს საყელო ყურებზე წამოვიწიე. ვნახოთ, მტკვარს გაღმა, ჩაბნელებულ შავნაბადაზე ტურები აწკავწკავდნენ. ტურების წკავწკავმა ჩემი სოფელი და ბავშვობა გამახსენა. ზამთრის ერთ ღამეს შეშა მოიტანეს. დიდხანს მესმოდა მაღლიდან გადმოყრილი ხეების რახარუხი. დილით რომ გავედი, დავინახე: ერთმანეთზე შეხორხლილი ეყარა ნედლი შავრცხილები და მუხები. ზოგს ზედ პაწაწინა კვირტებდაბერილი ტოტები და ხავსი ჰქონდა. ზოგს ტყიდან თოვლიც მოჰყოლოდა. ჰაერი ხის წვენისა და სოკოს სუნით იყო გაჟღენთილი. ამის გახსენებამ იქ, რკინიგზისპირა კბოდესთან, ჩემს ცხოვრებაში უკანასკნელად მომაწურინა ცრემლი. ახლა კი ქუჩაში ძარღვების გამათბობელი ღიმილი მომგვარა. მივბრუნდი და საყვავილეში შევედი.

საყვავილეში ის სუნიც გაქრა, რომელმაც გარეთ გამაჩერა. აქეთ-იქით ვიხედებოდი და აღარ ვიცოდი, რაზე შემეჩერებინა ყურადღება. ბედად, კუთხიდან, სადაც გამყიდველი გოგონა იჯდა და რაღაცას ქსოვდა, მოხუცი ქალი წამოვიდა. თითქმის იატაკზე მოაცურებდა მრგვალცხვირიან შავ ფეხსაცმელებს, სრულიად თეთრ თმაზე ძუითნაქსოვი ძველებური შავი შლიაპა ედო, შავხელთათმანიანი აკანკალებული ხელებით სამი მიხაკი ეკავა და კმაყოფილების ღიმილით დაჰყურებდა. მე რომ დამინახა, სახე გაუნათდა.

— შესანიშნავი მიხაკებია, შესანიშნავი! — მითხრა რუსულად.

— მართლა-მეთქი?! — გამყიდველთან მივედი. გამყიდველმა საქსოვი მაგიდაში შემალა და დამორცხვებულმა ამომხედა. წამით მეც შემრცხვა, — მე ხომ არაფრის ყიდვა არ მინდოდა! მერე ერთი მიხაკი ამოვარჩიე. გადავწყვიტე, იმ გამყიდველისთვისვე მეჩუქებინა (სუსტი, ლამაზი ქალიშვილი იყო). მაგრამ ვერ გავბედე. ფული გადავიხადე და წამოვედი. ვიტრინიდან ერთხელ კიდევ გავიხედე გამყიდველისაკენ. ისიც მიყურებდა. იმასაც გაეღიმა და მეც. მაგრამ უკვე გვიან იყო. მაღაზიაში სხვები შედიოდნენ და მიბრუნება ლამაზი არ გამოვიდოდა.

ათიოდე ნაბიჯი არ მექნებოდა გავლილი ხალხით სავსე, საავდროდ ჩამოღუშულ ქუჩაში რომ ახალი რაღაც აღმოვაჩინე:, — მარტოობას აღარა ვგრძნობდი; სამაგიეროდ, მიხაკი მაწუხებდა. ის ისეთი ჩახჩახა წითელი იყო, ყველას თვალს სტაცებდა. როგორც კი დაინახავდნენ, იმ წამსვე სახე ეცვლებოდათ. ზოგი კეთილად შემომღიმებდა, ზოგს კი დამცინავად ებრიცებოდა ტუჩები. ვიფიქრე, გულისჯიბეში ჩავიდებ-მეთქი, მაგრამ შემეცოდა, — ფურცლები დაესრისებოდა. მაშინ ზურგს უკან ამოვიფარე და ისე წავედი, — ის, რაც ადამიანის ზურგს უკან ხდება, ხომ თითქმის არც კი არსებობს მისთვის!

ტროტუარის მარჯვნივ სულ მაღაზიები იყო. იყიდებოდა წიგნები, ნელსაცხებლები, ქუდები, ტანსაცმელი, რკინა-კავეული. ყველაზე მეტი ხალხი ფეხსაცმელების მაღაზიაში ირეოდა: თავებწინწაწეული ქალები და კაცები შეშფოთებული სახით მისჩერებოდნენ თაროებს. რამე ისეთს ხომ არ არიგებენ-მეთქი და შევბრუნდი. ჩემთვის საინტერესო ვერა დავინახე რა. ის იყო, გარეთაც უნდა გამოვსულიყავი, რომ ბავშვის ტირილი მომესმა. კარის მახლობლად, ტყავის შავ სავარძელში, სამი-ოთხი წლის გოგონა იჯდა და ტიროდა. აქეთ-იქიდან სანოვაგით სავსე ორი ბადურა ედგა, პატარა ხელებით იმ ბადურებს ჩასჭიდებოდა; ვიღაც ხნიერი ქალი აწყნარებდა, ის კი, ცრემლებით ლოყებდასველებული, დედას ეძახდა. მივედი, დავიხარე, ცხვირზე საჩვენებელი თითი დავადე, სწრაფად ავიღე და შეწუხებულმა სულის ბერვა დავიწყე, თითქოს ძალიან დამწვოდეს.

— რა არის, როგორ გაგცხელებია ცხვირი ტირილისაგან!

გოგონამ ბრაზით ამომხედა, პირი ღია დარჩა, — მე თითზე სულის ბერვას განვაგრძობდი.

— ნაკვერჩხალივითა გაქვს პირდაპირ!

— არაფერიც!

— აბა შენ თვითონ ნახე!

— არაფერიც!

— არა გჯერა?

— არა!

— ნუ გჯერა. შენ იქნებ ისიც არა გჯერა, რომ მე კინო-მსახიობი ვარ?

გოგონამ ამაზე პასუხი ცოტა დამიგვიანა. თავიდან ფეხებამდე ჩამათვალიერა და ბოლოს ისევ ბრაზით მომიგო:

— არაფერიც!

— არა?

— არა!

ზურგსუკან ამოფარებული მიხაკი გავუწოდე და ვუთხარი:

— ამას შეხედე! ვინ დადის ქუჩაში მიხაკებით? მეზღაპრეები და მსახიობები. მე მეზღაპრე არა ვარ. მაშასადამე, მსახიობი ვარ. მე შენც მსახიობი მეგონე, — გადასარევი თმა გაქვს, გადასარევი თვალები! შენ კი ზიხარ და თურმე მართლა ტირი. აჰა, გამომართვი!

მიხაკი გამომართვა, ლოყებზე პალტოს სახელო გაისვა და თავის მართლება დაიწყო.

— მე თითი მტკივა. აბა შენ გტკიოდეს?

— რა თითი?

მიხაკი პატარა კალთაში ჩაიდო, დაიხარა, მერე შეეშინდა, არ გამიფუჭდესო, ბოლო გაუსინჯა, გაბედულად ხელით ჩაირჭო თმაში, გრძელყელიანი ცისფერი წინდა წაიძრო და პაწაწინა, ვარდისფერფრჩხილებიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხი მარცხენა მუხლზე შემოიდო. ცერზე სიმინდის მარცვლისოდენა ბეზერა ჰქონდა.

— აბა შენ გქონდეს ამოდენა ბეზერა!

— ოო!

— აბა შენა გქონდეს! კარგია?

— ოო!

ბედად, დედამისი მოვიდა, წინ ჩამიდგა, მერე მომხედა, მოიბოდიშა და ისევ გოგონას მიუბრუნდა:

— საზიზღრები! აფერისტები! როგორმე ჩაიცვი, დედიკო, სახლამდე და... აბა, აქ ხომ არ ვიქნებით დღეს?!

— ვერა! ვერა! — ფეხზე მკლავები შემოიხვია გოგონამ.

— დედა, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე!

ისეთი უმწეო გამომეტყველებით მოიხედა ქალმა, შეუძლებელი იყო, დახმარება არ შემეთავაზებინა.

— მაჩვენეთ ერთი მე! — ხელი გავუწოდე პატარა წითელი ფეხსაცმელებისაკენ.

— ნახეთ, ნახეთ რამოდენა ნაკეცი აქვს შიგნით. ნუთუ ამის ჩაცმა შეიძლება?

ჯერ ისევ თბილ ფეხსაცმელში ორი თითი შევყავი და დავრწმუნდი, რომ მართლაც ძალიან საძაგელი ნაკეცი ჰქონდა. საბავშვო განყოფილების დახლთან მივედი, გამყიდველ ქალს ფეხსაცმელები ვაჩვენე და რაც შეიძლება დინჯად ვკითხე:

— რატომ არ უცვლით მომხმარებელს ამ ფეხსაცმელებს? ხომ ხედავთ, რომ აშკარა წუნდებული საქონელია; ხომ ხედავთ? ნახეთ, შეყავით ხელი!

— იცი, რაა? — აგდებული, ქუჩური კილოთი გამომიღრინა ქალმა. — შენი ადვოკატობა არავის არ სჭირდება აქ!

მე უფრო ახლოს მივიწიე, სიბრაზეს ვძლიე და კიდევ უფრო დინჯად დავუწყე განმარტება, რომ თანახმად ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი წლის ოცდაექვსი აპრილის დადგენილებისა (დაე, მას დაემტკიცებინა, რომ ეს დადგენილება ამ რიცხვებით არ იყო დათარიღებული) მაღაზიები ვალდებულნი არიან, უკან დაიბრუნონ საქონელი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი განახმარიანებულია. მაღაზია, თავის მხრივ, საქონელს უკან უბრუნებს წარმოებას. ამავე დადგენილებაში ხაზგასმით ისიცაა აღნიშნული: საგანგებო ყურადღება მიექცეს ვაჭრობის მუშაკთა თავდაჭერილობას მომხმარებელთა წინაშე.

— თუ თქვენ უკანონობად მიგაჩნიათ ამაში რამე, — აქ უკვე ხმა ცოტა გავიმაგრე, — მიბრძანეთ და მე შევეცდები თქვენი წინადადება მივიტანო, სადაც ჯერ არს.

გამყიდველს მოძრაობაშივე შეეტყო, რომ მოტყდა. სათქმელი დამთავრებული არ მქონდა და ნიათწართმეულმა გადაიქნია ხელები.

— აგე დირექტორი და თქვენ. მე დამანებეთ თავი!

— სად არის ის თქვენი დირექტორი?

— მეორე განყოფილებაში, ქუჩის მხრიდან.

დედა-შვილთან მივედი. დედა შეწუხებული თვალებით მომჩერებოდა, — პატარა იყო, გამხდარი. გოგონა დაარხეინებულიყო, მიხაკი კეკლუცად ეკავა ორი თითით და მოწიწებით მიჰქონდა ოდნავ ზეაწეულ სალუქ ცხვირთან. რომ დამინახა გამიღიმა.

— წავედით დირექტორთან! — ვთქვი მე, გოგონა ავიყვანე და მხარზე შევისვი.

— არ გინდათ, დაანებეთ თავი! — იხვეწებოდა დედა. — არა ვარ მაგათი ოთხი მანეთის მათხოვარი!

— რას ბრძანებთ! წამომყევით, წამომყევით!

ქალმა ჩანთები აიღო და უკან გამოგვყვა. ეტყობოდა, ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს, მალ-მალე იმეორებდა:

— მოეშვით, არა ღირს მაგათთან ლაპარაკი!

მოველოდი, რომ დირექტორი სქელი, თვალებზეთიანი კაცი იქნებოდა, მაგრამ სიმპათიური სახის მოხუცი აღმოჩნდა. თითქოს რაღაც სტკივაო, ცალი მხარი დაბლა ჰქონდა დაწეული. გვერდზე მელოტი, პალტოგაღეღილი კაცი ეჯდა. იმ კაცთან ლაპარაკს თავი დაანება და ჩვენ მოგვიბრუნდა. მე გოგონა მაგიდის კიდეზე ჩამოვსვი, მარჯვენა ფეხიდან წინდა წავაძრე, პატარა ცივ ქუსლში ხელი მოვკიდე და დირექტორს ვუჩვენე ჯერ ბეზერიანი ცერი, მერე ფეხსაცმელი.

— შეყავით ხელი, ეს ხომ აშკარად წუნდებული საქონელია! ნუთუ არ არსებობს საშუალება, რომ გამოგვიცვალოთ? თქვენი გამყიდველები...

თითქოს ძალიან, ძალიან დიდი ხმით მეყვიროს, დირექტორმა თავი უკან გადასწია და კედელს მიაჭირა, — თვალები დახუჭული ჰქონდა. წამოდგა, კოჭლობით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, რაღაც კარი გამოაღო და ფერდზეხელმიჭერილმა გასძახა:

— ალიოშა!

შემოვიდა ყავისფერკოსტუმიანი კაცი. ბრიოლინით გაპრიალებული გრძელი თმა უკან ჰქონდა გადაწეული. გამხდარ სახეზე ბრტყელი, შავი ულვაშების მეტი თითქოს არაფერი ჰქონდა. ხელები უკან შემოიწყო.

— გისმენ, ბატონო გიორგი!

დირექტორი თავის სკამს უბრუნდებოდა და თან გოგონას ეფერებოდა.

— გტკივა, ბაბუა! ოი, ოი, ოი! არ იტირო, ბაბუა! ჩვენ ახლავ... — ფეხსაცმელები ალიოშას მიაწოდა. — მოუძებნეთ ყველაზე ლამაზი წყვილი და გამოუცვალეთ!

„ალიოშამ“ ფეხსაცმელები გადაატრიალა-გადმოატრიალა.

— განახმარიანებული როა, ბატონო გიორგი?

— გაუგზავნეთ ფაბრიკას გაუგზავნეთ, გესმით?! ესენიც, კიდევ იმ ქალმა რომ დატოვა, დილანდელიც. ყველა გაუგზავნეთ. მერე მე თვითონ ჩავალ. ან მე თვითონ წავიღებ, მაგათი... უკაცრავად, ქალბატონო!

დირექტორმა ბრაზით გამოსწია უჯრა, „ყაზბეგის“ კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, თავი მოუსრისა და მოუკიდა.

ჩვენ დიდი მადლობა გადავუხადეთ. გოგონა ისევ მხარზე შევისვი და „ალიოშას“ ვანიშნე — გაგვიძეხ-მეთქი. „ალიოშა“ მაინცადამაინც გახარებული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა!

— წინიდან მობრძანდით! — მოგვიგო და უკმაყოფილო თვალით გაიხედა დირექტორისკენ. დირექტორს ხველა ასტეხოდა და კედლისკენ შებრუნებულიყო. „ალიოშა“ დამუქრებულივით წავიდა. გარეთ, გასასვლელში, ზურგსუკან დავეჭყანე და „ბრანწიც“ გავუკეთე. გოგონას დედამ თვალი შემასწრო, გაწითლდა, გაეღიმა. მეც გამეცინა და ჩქარი ნაბიჯით წავედი მაღაზიისკენ.

„ალიოშამ“ თვითონ ამოგვირჩია საუკეთესოზე საუკეთესო წყვილი. გოგონასაც ვკითხე, მოსწონდა თუ არა. მოსწონდა. მაგრამ როდესაც ჩაცმა დავუპირე, ერთი ამბავი დააწია. შემოიხვია მკლავები ფეხზე და ატირდა. მე და დედამისმა იმედგაცრუებული გამომეტყველებით შევხედეთ ერთმანეთს.

— პირველად გეტკინება, დედიკო, მარტო პირველად. შინ სხვა რამეს ჩაგაცმევ.

გოგონა ჯიუტად აქნევდა თავს და არაფრის გაგონებაც არ უნდოდა.

— რა მოუვიდა ბავშვს?

— თქვენია?

— წაიყვანეთ ასე, რა მოხდა?

— ცოდვაა, რას ატირებთ.

გვირჩევდნენ აქეთ-იქიდან. გოგონას დედა პასუხს არავის აძლევდა. უმწეოდ თუ ახედავდა ხან ერთს, ხან მეორეს (მას ხომ სავსე ბადურებიც ჰქონდა წასაღები). მაშინ მე ერთხელ კიდევ ვთქვი:

— წავედით! ბავშვს მე წამოვიყვან.

— რას ბრძანებთ, არა, ამაზედაც დიდი ბოდიში, ასე რომ შეგაწუხეთ.

— რა შეწუხებაა!..

მინდოდა ისიც მეთქვა, რომ, პირიქით, ძალიან ნასიამოვნები ვიყავი მათი შეხვედრით, მაგრამ ამ სიტყვებს ვრცელი განმარტება დასჭირდებოდა. ამიტომ ისევ ის გამოვიკითხე, სად ცხოვრობდნენ, გოგონას დავწვდი, მხარზე შევისვი და კარისკენ წავედი. საბრალო დედამისი ხან ვის წამოედებოდა თავის ბადურებით, ხან ვის.

— ღმერთო, ღმერთო! — იძახდა მალიმალ. — რა დამემართა, რა სისულელე დამემართა! — გოგონა კი (თუმცა მის სახეს ვერ ვხედავდი) ვგრძნობდი, ზეიმობდა, — რიტმულად აქნევდა ფეხებს და მერე რაღაც სასიმღერო ბგერებიც ამოუშვა:

— ლა-ლა-ლა-ლა, ბა-რა-ქა-ლა!

მინდოდა ტაქსი დამეჭირა, მაგრამ პირველსავე გაჩერებასთან მათი ავტობუსი დაგვხვდა, დედამ თავი გადაიკლა, ამით წავალთ, მეტი არაფერი გვჭირდებაო, და მეც, გარკვეული ყოყმანის შემდეგ, დავეთანხმე. აქ სადისპეტჩერო პუნქტი იყო, ავტობუსები დიდხანს ჩერდებოდნენ. მე მათი დაბინავებაც მოვასწარი და გამომშვიდობებაც. გამომშვიდობებისას გოგონამ ჩემი ნაჩუქარი მიხაკი კალთაზე დაიდო, ხელები გამომიწოდა და ალერსიანი ხმით მიბრძანა:

— გაკოცო!

მე დავიხარე, გოგონამ ნაზი ტუჩებითა და ცხვირით მომიღიტინა ლო-



ყაზე, მეც ვაკოცე, გამოვბრუნდი და ჩამოვედი. მაგრამ ორიოდე ნაბიჯიც არ მქონდა გავლილი, სახეზე წვიმის წვეთები დამეცა და ამან გამახსენა:

კი მაგრამ რომ ჩამოვლენ? რაც უნდა ახლოს იყვნენ გაჩერებიდან, ხომ მაინც ფეხით მოუხდებათ რაღაც მანძილის გავლა?

ის იყო ავტობუსი დაიძრა და მეც შევახტი. დიდი ბოდიშებით გავარღვიე ხალხი და მიხაკის სიფრიფანა ფურცლების შიგნით რაღაცის მაძებარ დედა-შვილს წინ გავუჩერდი. უცებ, თითქოს უბიძგესო, გოგონამ ამომხედა, თვალები გაუბრწყინდა და აღტაცებით წამოიძახა:

— დედა!

დედამაც ამომხედა. მაგრამ მას პირველი სიხარულის მერე შეშფოთება გამოეხატა სახეზე. მას უთუოდ ეგონა, რომ საქმე მისთვის არასასურველ სახეს ღებულობდა. ამაზე გამეღიმა და სწრაფად განვუმარტე:

— წეღან მთლად გამოვშტერდი! ეს ავტობუსი ხომ შინ არ მიგიყვანთ პირდაპირ! ხომ რაღაც მანძილი უნდა გაიაროთ ფეხით. თანაც უკვე წვიმს...

ქალმა ლოცვასავით წარმოთქვა: — ღმერთო, მომკალი! ღმერთო, მომკალი! — და სავარძლის საზურგელს მიაწვა. ის ახლა ლამაზი იყო, ლამაზი იყო ჩრდილში გაზრდილი მცენარის იდუმალი სილამაზით, და მინდოდა დიდხანს ყოფილიყო ასე. მაგრამ პატარა გოგონა არ გვასვენებდა. იმ წითლად გაბდღვრიალებულ მიხაკს ხან დედას უცაცუნებდა ტუჩებზე, ხან მე. მე გოგონას ცხვირზე თითი დავაჭირე და ასე გავაჩერე.

— აი, ახლა როგორი ცივი ცხვირი გაქვს, როცა არა სტირი.

— არაფერიც.

— ნუ დაიჯერებ!

ამჯერად გაბედა და ცხვირზე თვითონაც დაიდო თითი, თან ეშმაკურად ეღიმებოდა.

— ხომ ცივი გაქვს?

თავი დამიქნია.

— ასევე მართალი ვიყავი, როცა გეუბნებოდი, ცხელი გაქვს-მეთქი.

— ღონიერიცა ხარ?

— მაშა!

— ძალიან, ძალიან ღონიერი? ვეფხვს მოკლავ?

— ვეფხვსაც მოვკლავ და ლომსაც.

ასეთი საუბრით გართულნი, ცნობისმოყვარე მგზავრებით გარშემორტყმულნი, მივდიოდით კარგა ხანს. გავედით საბურთალოში, გავუხვიეთ დელისისაკენ და სადღაც იპოდრომის მახლობლად ჩამოვედით. აქ კარგა მოხშირებული წვიმა მოდიოდა. ცივ, მძიმე წვეთებს ვაჩქარებული გვიტკაცუნებდა სახეში. მე გოგონა მკერდზე მივიხუტე, თავზე პიჯაკის კალთა წამოვაფარე და ასე დავედევნე დედას, რომელიც წინ გარბოდა. მან უკანმოუხედავად, ტვირთით ხელებდამძიმებული ადამიანის დაძაბული ნაბიჯით გაირბინა ორმოციოდე მეტრი და რვასართულიანი ვეება შენობის ჩაშავებულ სადარბაზოში შევარდა. როცა ჩვენც იმ სადარბაზომდე მივაღწიეთ, მას უკვე ბადურები პირველი სართულის კიბისთავზე დაეწყო და ჩვენსკენ მოდიოდა გაძეძებული ღიმილით. გოგონამ პიჯაკიდან გაიჭვრიტა, — ჭიტაო! — დაიძახა და ისევ შიგნით შეიბუდა კისკისით. მე კიბე ავიარე და გოგონა ბადურებთან დავსვი, — აქ უკვე არა უშავდა, თუნდაც რამდენიმე ნაბიჯი გაევლო წინდების ამარა. დედა სველ თმაზე ხელს ისვამდა და მეხვეწებოდა: შემობრძანდით ჩვენთან, ჩემი მეუღლეც დაბრუნებული იქნება, გადაიღებს წვიმა და მერე წაბრძანდითო. მაგრამ მე პიჯაკი გავისწორე და დამშვიდობება დავიწყე. გოგონამ ამჯერადაც კოცნით დამაჯილდოვა, — კოცნით და ლოყაზე თავისი პატარა ცხვირის დაჭერით; დედა კი, რაკი შინ შესვლაზე ვერ დამითანხმა, მუდარისა და მადლობის სიტყვებით, კარამდე მომყვა. მე იქ, ქუჩაში გასული, ერთხელაც მოვბრუნდი, რომ საბოლოოდ მეთქვა — კარგად იყავით-მეთქი; დავინახე პატარა, მობუზული ქალი ამ უზარმაზარი შენობის ძირში; დავინახე საბრალობელი, ენითგამოუთქმელი მადლიერების გრძნობით აღვსებული მისი ლამაზი თვალები, და ელდენივით რაღაცამ დამკრა სიბრაზისაგან. ვიდექი და ხმას ველარ ვიღებდი (ისიც კი ვერ შევძელ მარცხენა მხრისა და ფეხის თახთახი შემეკავებინა როგორმე), მერე უცებ ვუყვირე:

— ასე არ შეიძლება! გესმით?! ასე არ შეიძლება, გაიშალეთ მხრებში!

ჩემმავე ხმამ შემაკრთო. მოვბრუნდი და კოჭლობით წამოვედი იმ ცივ წვიმაში, თავშიშველი...

საბრალო ქალი!

დარწმუნებული ვარ, იმ ღამეს დიდხანს არ დაეძინებოდა შიშისაგან.

# სიცოცხლე არ დამთავრებულა





ოქროსფერი ხავერდის ფარდა ნელ-ნელა იხსნება. სცენაზეა საქართველოს გაზაფხული — ალუბლისა და იასამნის შტოები. ჯეირანივით მოსხლეტილი ქართველი გოგონები.

დარბაზში მქუხარე ტაში გრიალებს, ხოლო სცენის შუაგულში, ტანშემართული დგას ქართველი ქალი — ნათელა ფოცხვერაშვილი.

იგი თითქოს ნათელს ჰფენს ესტრადას. და სცენა ივსება ფერად-ფერადი ყვავილების თაიგულებით...

ეს მშვენიერი ქალი, შესანიშნავი ოჯახის შვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, საქართველოს ფილარმონიის სოლისტი, ფილოლოგი, სანიმუშო შვილი და სამაგალითო ქართველი დედა, რომელიც დიდხანს ხიბლავდა მაყურებელს თავისი ბრწყინვალე ტალანტით, ადრე წავიდა ჩვენგან.



იგი ბოლომდე გაჰყვა სახელოვანი მშობლების: მამის — საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილისა და დედის — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალექსანდრა ფოცხვერაშვილის კეთილშობილურ გზას, თავისი სიცოცხლე ქართული ხალხური მუსიკის დღეგრძელობას უძღვნა.

საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქს ახსოვს მისი მხატვრული ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, მაყურებელს არ დაავიწყდება ამ ანსამბლის წარმატებები ცენტრალური რუსეთის ქალაქების სცენებზე, ბალტიისპირეთში. განსაკუთრებულად შთამბეჭდავი და წარუშლელი მოგონება დასტოვეს მეჩონგურე ქალებმა 1954 წელს კრემლის დარბაზში, დიდი თეატრის ფილიალში, მოსკოვის ოლქის მეშახტეთა სასახლეში, დიდი თეატრის სცენაზე, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, ჩაიკოვსკის დარბაზში...

დაიხურა ნათელას ლამაზი სიცოცხლის ფარდა. მაგრამ მისი სიცოცხლე არ დამთავრებულა. ცოცხალია და მისაბაძია ამ თავმდაბალი ადამიანისა და შესანიშნავი მოქალაქის ღვაწლი, დიდია მისი წვლილი ქართველ მეჩონგურე ქალთა ანსამბლის წინაშე, ჩაუქრობელია მისი ნათელი.

ქართლოს კასრაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟან ლერუ

ჟან ლერუ დაიბადა 1928 წელს, პარიზში.

მის კალამს, გარდა რომანებისა, ეკუთვნის ლექსების მრავალი კრებულიც.

ჟან ლერუს ორ რომანს („ეშმაკის წილი“ და „სუნთქვა“) 1946 წელს პარიზის პრემია მიაკუთვნეს.

ჟან ლერუ ღრმად იცნობს ქალის სულიერ სამყაროს, მის ფსიქოლოგიას. ამიტომაც ძირითადად თანამშრომლობს ქალთა ჟურნალებში, როგორიც არის „ელ“, „მარი კლერ“ და სხვ.



# ოცდაათი წელი ამაოდ

მოთხრობა

მხატვარი დ. კახი

გუშინ საღამოს ფლიტ-სტრიტზე ბევრი ვისკი დავლიე და ეს იყო მიზეზი, დილით სასადილო ოთახში მოგვიანებით რომ ჩაველი. მაგიდა გაუწყობელი დამხვდა. გავვოცდი. სამზარეულოს მივაშურე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარი შევაღე. იქ არავინ იყო. ქ-ნი ჰიდინგი არ ჩანდა. კიდევ უფრო სახტად დავრჩი, როდესაც გაზქურაზე ყავადანს ვერ შევავლე თვალი. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა ამ სახლში.

არც მისის ჰიდინგი... არც ცხელი ყავა... რა უბედურებაც უნდა მომხდარიყო, ყავას მაინც მომიმზადებდა. მაშასადამე, აქ რაღაც სხვა ამბავია. კიბეზე ავირბინე და ქ-ნი ჰიდინგის ოთახის კარზე დავაკაკუნე. ერთხელ, მეორედ... შევძახე — აქა ხართ-მეთქი? მაგრამ არავინ მიპასუხა. „კარი ხომ არ შევამტვრიო?“ — გამიელვა ამ აზრმა და ცალი მხარით მივაწექი კარს. ნებით მომყვა, გაიღო. საოცარი ხალხია ინგლისელები. მათ ხომ ყველაზე მეტად ხმაური ეჯავრებათ და განსაკუთრებით ჩალეწილი ფანჯრის ან შემტვრეული კარისა. ეს ხომ ანტიინგლისურია! ინგლისელი თავს ისე იკლავს, რომ კარს არ ჩაკეტავს. ინგლისელი ქალი თავის ჩამოხრჩობამდე ზრუნავს, რომ კარი გასაღებით არ ჩაკეტოს და სხვა არავინ შეაწუხოს კარის ჩამომტვრევის ხმაურით.

და აი, ნახევარი საათის შემდეგ, ჩემს მიერ სკოტლენდ-იარდიდან გამოძახებული ორი პოლიციელის უკან ვიდექი და ამაზე ვფიქრობდი. ნუთუ ესენიც ჩემსავით ფიქრობენ-მეთქი? არა მგონია.

პოლიციელები დუმილით დგანან მოხურულ კართან, რაც უკვე მანერვიულებს. რას უცდიან? კარს უკან ხომ ქ-ნი ჰიდინგაა, მკვდარი რომ ჩამოვხსენი თოკიდან. ისეთი სიჩუმეა, რომ როცა ერთ-ერთმა პოლიციელმა ჩემკენ გამოიხედა, მისი პერანგის გახამებული საყელოს შრიალი მომესმა. თანდათან მინელდება ინგლისელი ჩამოხრჩობილის სიბრალული, და ვფიქრობ: „ნეტავ ქ-ნ ჰიდინგს ამჯერად მაინც ჩაეკეტა კარი, რომ მშვიდად ვყოფილიყავი“.

მომბეზრდა პოლიციელების დუმილი. ჩავახველე ხმის გასაძლიერებლად და სულელურად წარმოვთქვი: „აქ არის... შეგაძლიათ შეაღოთ“... ჩემი ხმა მეუცხოვა.

— რა გქვიათ?

სხვისი ხმის გაგონებამ შემაკრთო.

— რა ბრძანეთ? მე...

— რა გქვიათ? — მეკითხება ფრანგულად.

— ჟაკ ბერტინ.

პოლიციელმა ამათვალიერა, შემდეგ მკითხა, თუ რა საქმიანობას ვეწეოდი ლონდონში. ვუთხარი, საელჩოში მესამე მდივნად ვმუშაობ-მეთქი. ჩემმა პასუხმა ცოტათი გამამხნევა.

— რამდენი ხანია, რაც ქ-ნ ჰიდინგთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობთ?

— დაახლოებით ექვსი თვე.

— და არაფერი შეგიმჩნევიათ?

— როგორ არა!

პოლიციელებმა ზურგი შემაქციეს და თავის ქნევით იმეორებდნენ: „ასე, ასე“... თითქოს მთავარი ის ყოფილიყო, რომ რაღაც შევამჩნიე, და არა ის, თუ სახელდობრ რა. ჩემს მარჯვნივ მდგომმა პოლიციელმა კარი შეაღო და ორივემ ოთახში შეიხედა. გზას მითმობენ, და ბოდიშის მოხდით შევდივართ. ვუამბობ, თუ რა წვალებით ჩამოვხსენი ფარდის ჯოხი და რა ამაოდ ვცდილობდი მომესულიერებინა ქ-ნი ჰიდინგი. პოლიციელებმა რამდენჯერმე შემოუარეს ოთახს. კარადების ყველა უჯრა გამოაღეს.

— მობრძანდით გეთაყვა, — გამიღიმეს და სასადილო ოთახში მიმიწვიეს. ერთად ჩავდივართ და ვსხდებით.

— აბა, რა შეამჩნიეთ, — შემეკითხა ის, რომელიც შედარებით ბევრს ლაპარაკობდა. უფრო სწორად, რომელმაც სულ სამიოდე სიტყვა მითხრა. ვუამბე, რაც მოხდა გუშინ, ნაშუადღევს... საღამოს დავბრუნდი. ქ-ნი ჰიდინგი მაგიდასთან იჯდა დაბნეული, სახეშეშლილი, გაფითრებული, თითქოს უდიდეს სულიერ ტანჯვას განიცდიდა. წინ გაშლილი ჰქონდა გაზეთი „პიიპლ ექსპრესი“ და კითხვით იყო გატაცებული.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო ჰიდინგ ,— მივესალმე.

ქ-ნმა ჰიდინგმა თავი ასწია, თითქოს პირველად დამინახა და ისევ ნელნელა დაუბრუნდა გაზეთს. ვცდილობდი, რამდენადაც შეიძლებოდა, საუზმე გამეჭიანურებია, იმის მოლოდინში, რომ ქ-ნი ჰიდინგი წავიდოდა და საშუალება მომეცემოდა წამეკითხა, თუ რამ დააინტერესა ასე. ნეტავ არ წაიღოს „პიიპლ ექსპრესი“.

დავიმახსოვრე მესამე გვერდი, ქვევით, მარჯვნივ, მეოთხე და მეხუთე აბზაცი...

არ მიაქვს. ხანდაზმული, ტანჯული ქალივით წვალებით წამოდგა და გავიდა.

გაზეთს მივვარდი, რა მოხდა?

ავტომრბოლი ედუარდ ჯონსტონ-ბრაუნი დაიღუპა ავარიის დროს, შოტლანდიაში. მას მოსახვევში სატვირთო მანქანა დაეჯახა. ავტომრბოლის გვერ-



დით იჯდა მაღალი, საზოგადოების ახალგაზრდა ლონდონელი ქალი. ისინი ერთად დაიღუპნენ. ეს სრულიად ბანალური ამბავია.

განვაგრძობ კითხვას. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა დეტალმა, რომელსაც ინგლისურ გაზეთებში ხშირად შეხვდებით, ჩვენში კი, საფრანგეთში, დაუშვებელია.

„ჩვენმა რეპორტიორმა ინახულა ქ-ნი ჯონსტონ-ბრაუნი, რომელმაც უარი ოქვა რაიმე განეცხადებინა ამ საშინელი ავარიის მეორე მსხვერპლის პიროვნების ირგვლივ“.

რამდენი რამ იმალება ამ განცხადებაში.

დავფიქრდი. რა არის საერთო ამ შემთხვევასა და ქ-ნ ჰიდინგს შორის? რამ მიიყვანა იგი იმ მდგომარეობამდე, რომელშიც თვითონ ვნახე. ვიგონებ ყველაფერს ქ-ნ ჰიდინგის შესახებ.

პირველი: ქ-ნი ჰიდინგი ბობ ჰიდინგის ქვრივია.

— დიახ. — ერთად იმეორებენ პოლიციელები.

რასაც გუშინ საღამოს ვფიქრობდი, დღეს დილით ვუზიარებ ჩემს ახალ ნაცნობებს.

— ბობი ჰიდინგ! არაფერს არ გაგონებთ ეს სახელი?

ფლეგმატურ პოლიციელს უცბად სახე გაუნათდა.

— ბობი ჰიდინგ? ა, დიახ! ჰიდინგი და კლარკი. ოცდაოთხსაათიანი რბოლა. ისინი წყვილად მონაწილეობდნენ მრავალი წლის მანძილზე.

— სწორედ ის არის!

მეორე: იმ წელს, როდესაც ჰიდინგმა და კლარკმა მოიგეს ოცდაოთხსაათიანი რბოლა, ბობი ესპანეთში დაიღუპა. ეს იყო ოცდაათიან წლებში.

მესამე: მესამე, მგონი, მხოლოდ მე ვიცი. ქ-ნ ჰიდინგზე რომ დავიწყე მოყოლა, უნებურად ხმას დავუწიე.

ქალი, რომელიც ყოველდღე, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, სასაფლაოს გალავნისაკენ მიაბიჯებდა, ქ-ნი ჰიდინგი გახლდათ.

წლებს მისთვის სახე დაუღარავს, თმა გაუთეთრებია, სხეულის ფორმა შეუცვლია ხოლო მის გულს ვერ შეხებია. გული სასწაულებრივად ახალგაზრდული აქვს. არიან მოწმენიც მისი მომხიბლავი სილამაზისა, რომელიც მოგონებადღა დარჩენილა.

ქ-ნ ჰიდინგისათვის კი შეუმჩნეველია ეს ცვლილებები და ვერც კი ხედავს, თუ მასთან ერთად როგორ უნელდება მოძრაობა და უთეთრდება თმა სასაფლაოს დარაჯს, წვიმასა და ყინვაში აქ, სასაფლაოზე რომ ხვდება ქ-ნ ჰიდინგს. დროის მსვლელობას მხოლოდ გული აგრძნობინებს, და მისმა გულმა ერთ საბედისწერო დღეს შეწყვიტა ცემა.

პარასკევი იყო, როცა ბობი დაიღუპა. ყოველ პარასკევს ქ-ნი ჰიდინგი ყვავილებით მიდის ქმრის საფლავზე. იქ ხვდება სასაფლაოს დარაჯი. იგი აწვდის წყლით სავსე რკინის წვეტიან ვაზას. მას ათავსებენ მიწაში, საფლავის ქვის წინ.

ყოველ პარასკევს, როდესაც ქ-ნი ჰიდინგი მიწაში რგავს ყვავილებით სავსე ვაზას, გული უღონდება, თითქოს ბობის გულს ხვდებოდეს ლარნაკას წვეტიანი ბოლო. ქ-ნ ჰიდინგის ცხოვრება პარასკეობით იწყება. ყოველი თვის ბოლო პარასკევს გამოაქვს გარეთ ბუკლეს პიჯაკი, რომელიც საბედისწერო დღეს ეცვა ბობის. იგივე პიჯაკი ეცვა, როდესაც უკანასკნელად სეირნობდნენ ჰაიდ-პარკში.

ერთ პარასკევ დღეს, როდესაც თოკზე გადაკიდებული შევნიშნე ეს პიჯაკი, გაკვირვება ველარ დავმალე. ქ-ნმა ჰიდინგმა სევდიანი ხმით მიამბო ყველაფერი. მოგონებისას თვალები უბრწყინავდა.

— ზოგჯერ გამომაქვს სუფთა ჰაერზე! — მითხრა მან მორიდებული, ნაზი ღიმილით.

მას ეჭვიც არ შეპარვია, რომ მივუხვდი: „ზოგჯერ“ — ეს პარასკევი იყო. ხელით ეალერსებოდა ქსოვილს და განაგრძობდა: ყველაფერი ისე დავტოვე. როგორც იყო. ჯიბეებსაც არ შევხებივარ. ხედავთ! საფულე აქ არის. აქ კი პასპორტია. სიცოცხლეშიც არ ვხსნიდი მისი ჯიბის ნივთებს. სიკვდილის შემდეგ კი ყველაფერი ისე დარჩა, როგორც უკანასკნელ დღეს. და ქ-ნმა ჰიდინგმა ნაზად გადაუსვა ჯაგრისი.

მე მეტად ამაღელვა ამ ამბავმა. ასეთ რამეს ხომ მხოლოდ ინგლისში შეხვდებით. ეს ყოველდღიური სიარული სასაფლაოზე, ეს სათაყვანებლად დარჩენილი ტანსაცმელი, ეს რიტმი ისეთი სიყვარულისა, რომელიც დრომ ვერ შელახა. ყველაფერ ამას ვაგროვებდი ჩემს გულში და ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს მოწმე ვიყავი უსაზღვრო გრძნობისა, ისეთი გრძნობისა, რომელზეც ოცნება ამაოა, მაგრამ მაინც დაეძებენ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ამას ჩემთვის ვფიქრობდი. პოლიციელებს არაფერი გავუზიარე. შემდეგ ისევ დავუბრუნდი იმ საუზმის ამბავს, „პიიპლ ექსპრესს“ და ქ-ნი ჰიდინგის უცნაურ მოქმედებას.

— რა საბედისწერო დაინახა ქ-ნმა ჰიდინგმა შოტლანდიაში მომხდარი

შემთხვევის მოთხრობაში? — ვთქვი მე. — არ მესმის, თუმცა ვგრძნობ, რომ ამ ამბავში რაღაც იდუმალების კვანძია.

პოლიციელებმა გაზეთის კითხვა დაიწყეს. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს და რაღაც გადაულაპარაკეს.

— გმადლობთ! ახლა წამოგვყევით, — მითხრეს და თან ქუდი დაიხურეს. — დეტექტივობას ითამაშებთ.

მანქანას მივაშურეთ. გავიარეთ ფლიტსტრიტის პატარა ხიდი. აი გავჩერდით ,,ტაიმს"-ის წინ. მოვითხოვეთ ბობ ჰიდინგის აფიშა. ამოვიწერეთ სიკვდილის თარიღი. გადმოვაღებინეთ 193... ივლისის ყველა გაზეთი. პოლიციელები ძებნას შეუდგნენ, და აი ერთ-ერთ გაზეთში კიდევაც მიაგნეს. სახე გაუნათდათ. კითხულობენ ერთად. ბოლოს მაწვდიან და... ვიწყებ: ,,ავტომრბოლი ბობი ჰიდინგი დაიღუპა მადრიდის გზაზე, ბურგოსის ახლოს..." ეს ხომ ვიცი, ღმერთო ჩემო!.. განვაგრძობ კითხვას: ,,თან ახლდა მადრიდელი მაღალი საზოგადოების ახალგაზრდა ქალი, რომელიც დაიღუპა სპორტსმენთან ერთად". როგორც ჩანს, ძალიან გავფითრდი. პოლიციელები მომვარდნენ დასამშვიდებლად. ჩავედი ბარში და ორმა ჭიქა ვისკიმ ფერზე მომიყვანა.

— უკეთ ხართ?

— გმადლობთ! ძალიან კარგად, მაგრამ არ მესმის...

— წავიდეთ, უნახოთ, შევამოწმოთ.

ისევ ვსხდებით მანქანაში და ვუბრუნდებით ქ-ნ ჰიდინგის სახლს. ამჯერად პოლიციელები მიმიძღვიან. კარადიდან პიჯაკი გამოიღეს და მეკითხებიან:

— ეს არის?

— დიახ!

ხელით სინჯავენ პიჯაკს. მაჩვენებენ ჯიბეებს.

პასპორტი თავის ადგილზეა. მაგრამ საფულე? ეს კი აღარ ჩანს.

ერთმა პოლიციელმა პიჯაკი კარადაში დაკიდა და კარადის კარი მიხურა. მეორე მიუახლოვდა საწოლს, გადახადა საბანი, ასწია ბალიშები და დახრილი შეუდგა თვალიერებას. შემდეგ კმაყოფილი ქშენით წამოდგა. ცალ ხელში საფულე უჭირავს, მეორეში კი გაყვითლებული ბარათი. მხარდამხარ დამდგარნი კითხულობენ ბარათს. ბოლოს მაწვდიან: წაიკითხეთო!

მე ვყოყმანობ. ასე მგონია, თითქოს წერილის წაკითხვით საიდუმლოება უნდა დავარღვიო.

ვკითხულობ. ,,ჩემო ძვირფასო".

არა! ამის გადმოცემა შეუძლებელია. ქ-ნ ჰიდინგს თითქოს შეურაცხყოფა მივაყენე ამ წერილის წაკითხვით.

აი, ვიგონებ მას, ყვავილებით ხელსავსეს, საყვარელი ქმრის საფლავთან. თვალწინ დამიდგა ქალბატონი ჰიდინგი ქმრის პიჯაკით ხელში. როგორ ეალერსებოდა უნაზესი ღიმილით. გული გადმომიბრუნდა. წერილს ხელს აწერს იზაბელა. ალბათ ეს იზაბელა ელოდებოდა ბობის სან-სებასტიანში იმ დაწყევლილ დღეს, საბედისწერო პარასკევს.

ყოველი ხუთი სტრიქონის შემდეგ მეორდება სიტყვები:

,,ჩემო საყვარელო! ჩემო საყვარელო!" ცრემლები მერევა. საბრალო ქ-ნი ჰიდინგი. როგორ დაისადგურა ეჭვმა მის გულში? რამ აუწყა ანალოგია ედუარდ ჯონსტონ-ბრაუნისა და მისი საყვარელი ბობის სიკვდილში? რა ჯოჯოხეთიდან გამოვარდა სინათლის ნაპერწკალი უბედურების კვალის გასანათებლად? ეს ჩემთვის მუდამ გაუგებარი დარჩება, მხოლოდ შემიძლია წარმოვიდგინო გარდაცვლილი ქმრის მიმართ ეჭვით შეპყრობილი საბრალო ქალი, რომელიც აკანკალებული ხელებით სინჯავს ჯიბეებს. ამით ხომ შელახა მრავალი წლის ერთგულება...

და აი მიიღო უცილობელი საბუთი თავისი უბედურებისა და ისევე განიცდის, როგორც ყოველი ახალგაზრდა ცოლი, ქმრის მიერ შეურაცხყოფილი.

სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს განადგურებულ გრძნობას, გათელილ ერთგულებას, გამოუვალ ეჭვიანობას. რწმენადაკარგულს აღარ ძალუძს სიცოცხლე. გაბოროტებულს გონება ეკარგება.

მე ვუცქერი პოლიციელებს, რომლებიც თავს აქნევენ. მათი აზრები ჩემს ფიქრებს ემთხვევა, თუმცა მათთვის ყველაფერი მოთავებულია, ჩემთვის კი მხოლოდ დასაწყისია ფიქრებისა. გარინდებული ვდგავარ და თითქოს ვხედავ სიგიჟის მომენტში დამსხვრეულ ქანდაკებას, ქანდაკებას, რომელშიც მოქანდაკემ სრულყოფას მიაღწია.

დაბალი, ცხვირკეხიანი მწითური პოლიციელი სიცილით ამბობს: ,,ქ-ნ ჰიდინგს ადრე რომ წაეკითხა გაზეთები, სანამ 58 წლისა გახდებოდა, მას ახლა შვილები და შვილიშვილები ეყოლებოდა. ხა... ხა... ხა..."

სიამოვნებით გავაწნავდი სილას.

ფრანგულიდან თარგმნეს **თინა სარჯველაძემ
და მედეა თევდორაძემ.**

**იზა ორჯონიკიძე**

# რა სანატრელი ბედი მქონია



მზეს ვერ ველევი.
მთებს ვერ ველევი,
ზღვა მიხმობს
ნისლით შეუბურველი.
ზღვა გარინდულა, როგორც სიცული,
შეუცნობელი და სასურველი.
წყალი სავსეა ახლა სიშიშვლით,
ნელი ნიჩბებით და ბინდბუნდებით.
სულში იშლები მწვანე ხეებად
სულში გროვდები, სულში გუბდები.
რა სანატრელი ბედი მქონია!
ზღვავ, რომ მომენდე, ცავ, რომ მიწამე.

ვარ აცდენილი ტალღებს თოლია
და ახირებულს ასე მგონია —
ჯერ არც დამიდგამს ფეხი მიწაზე.

# ჩემი ცხოვრების მდინარე

თვალს თვალში მიყრის
მაცდურად,
გადარეული აძურა:
გამცურავ?
ბიჭიც იქნები...
ლაჩარი —
თუ ვერ გამცურავ!

# დიდედა

ფანჯრის რაფაზე გრილდება სურა,
შუაღამეა და შუაცეცხლი.
მე ბამბის თხელი საბანი მხურავს,
შენ — სანთლის ჩრდილი და ჟამთა ვერცხლი.

და, როგორც ცუდად დაკიდულ სურათს,
პატარა სარკმელს არ ყოფნის შუქი.
და მე მგონია: არაა სულაც
შენი სიბერე ძნელი და უქმი.
შუაღამეა და ჩემს წილ ზღაპრებს
დაფურცლულ წიგნში ჩააწვენ თბილად.
და, როგორც ქვევრებს ვეება ხაპი,
თალხ ფერებს ისე ამოსცლის დილა.
სხივი გადაჰრის შუაზე ხევებს,
და როცა შარას ოქროში დაბანს,
ბალახისფერი ექნებათ ხელებს,
მინდვრის სურნელი — შენს ბებრულ კაბას.
როგორც ძველისძველ და ძვირფას ფრესკებს

შენ გემატება წლები და ბზარი,
მაინც ღიმილით მოდიხარ ჩემსკენ
და იცი ყოფის ტკბილიც და მწარეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი წერილი ჩემს უცნობ მშობლებს

დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, ალბათ, ისე გამოვიყურებოდი, რომ ქალმა, რომელსაც ჯერ კიდევ ამ დილით „დედას“ ვეძახდი, შეჰკივლა და...

რა ბედნიერი ვიყავი ამ დილით!

რა ბედნიერი ვიყავი ჩვენი ბინის მხიარულ ჭერქვეშ, ამ ჩემს პატარა მყუდრო ოთახში, სადაც ყველაფერს: ჩემს საწოლს, საწერ მაგიდას და საერთოდ მთელ ჩემს ცხოვრებას, მზრუნველი და მოყვარული ადამიანების თვალი და ხელი დასტრიალებდა.

რა ბედნიერი ვიყავი ამ დილით!

ბედნიერი, როგორიც კი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც ამ ბედნიერებისათვის ყველაფერი აქვს.

ამას წინათ, სკოლაში რომ გავრბოდი, ვიღაც მოხუცმა ქალმა „ნეტავი შენს დედასო“, — მომალაპარაკა.

სწორედ იმ დღეს მივიღე პირველი წერილიც. თ. მწერდა, ჩემს ნაცნობ გოგონებში შენ ყველაზე ლამაზი ხარ, ყველაზე ჭკვიანი, კეთილი და ნიჭიერიო.

იმ დღიდან ჩემს გულში ერთი სიმღერის ნაწყვეტი შემოიჭრა და აღილინდა.

ამ დილითაც ღიღინით ჩავირბინე კიბე. ქუჩაში რომ გავედი, ჩვეულებრივ მოვიხედე უკან. ფანჯარასთან დედა იდგა. მანიშნებდა: ქუჩაში გადასასვლელზე ფრთხილად იყავიო. ასე მარიგებს ეს სამი წელია, — ესე იგი იმ დღიდან, რაც სკოლაში აღარ მაცილებს. რაღა დროს ჩემი გაცილებაა, უკვე 16 წლისა ვარ. გაისად საშუალო სასწავლებელს და მუსიკალურ ტექნიკუმს ერთდროულად დავამთავრებ.

რა ბედნიერი ვიყავი ამ დილით! ქუჩის კუთხეში თ. იდგა. გვერდით რომ ჩავუარე, გაწითლდა. მეც გული ისე მიცემდა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობსო. გავრბოდი და ასე მეგონა, ქუჩებიც, სახლებიც და ის კეთილი, კეთილი ადამიანებიც მღეროდნენ და იცინოდნენ, რომ ყველას და ყველაფერს უხაროდა, რომ მე ასე ბედნიერი ვარ...

ასევე ბედნიერი ვიყავი მაშინაც, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი...

ახლა კი, ქალს, რომელსაც აქამდე „დედას“ ვეძახდი, იქითა ოთახში ექიმები ეხვევიან. იქნებ, ყველა წამალზე მეტად ჩემი ერთი სიტყვა მოარჩენდა, მაგრამ ის სიტყვა თავის დროზე რომ ვერ ვიპოვე, ვდგავარ ჩემი ოთახის ფანჯარასთან და უაზროდ გავცქერი ქუჩას.

ქუჩა ხალხითაა სავსე.

იქნებ იმ ხალხში შენც ურევიხარ!

იქნებ, ის, თმა თივის ბულულივით რომ ადგას თავზე, შენა ხარ, დედაჩემო, ან ის, წამით რომ შეჩერდა და ჩემსკენ ამოიხედა?... ან, იქნებ, ის კაცი, ქუჩის კუთხეში რომ დგას ჩემსკენ ზურგშექცევით, მამაა ჩემი?

არ ვიცი!

ვიცი მხოლოდ ის, რომ სწორედ იმ ადგილას, სადაც დილით თ. მელოდებოდა, ახლა უცნობმა მოხუცმა კაცმა შემაჩერა და ხელში ქაღალდის ნაგლეჯი შემომაჩეჩა. „გატყუებენ, იმათი შვილი არა ხარ, ვინც მშობლებად მიგაჩნია. გაინტერესებს, იცოდე, ვინ არის შენი ნამდვილი დედა? თუ გინდა, მალე გაიგებ. კეთილისმსურველი“.

ნამდვილი დედა!

ამ ორი წლის წინ, ზამთრის ერთ საღამოს, ჩვენი სახლის მეზობელ სადარბაზოში იპოვეს პატარა ბავშვი, სულ პატარა, მთლად გათოშილი, გალურჯებული, ტირილისაგან დაოსებული...

ესე იგი, მეც ისე დამტოვე სადარბაზოში, ან რომელიმე ბაღის კუნჭულში, ან მატარებელში, ან მეც არ ვიცი სად, შენ, ჩემმა ნამდვილმა დედამ. არც ის ვიცი, რამ გაიძულა. იქნებ, რომელიღაც უსინდისო ადამიანმა მოგატყუა და მიგატოვა, ადამიანმა, რომლისთვისაც „მამა“ უნდა დამეძახა. ან იქნებ ორივე მშობლის შეთანხმებით მე ვარ მოტყუებული, ქუჩაში გადაგდებული, გასაჩუქრებული, გაყიდული, ან რომელიმე საბავშვო სახლში მიყვანილი და დატოვებული?

ამათგან საბავშვო სახლი ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რაც კი შეიძლება ერგუნოს ჩემისთანა ბავშვს.

საბავშო სახლებში, კეთილი ადამიანები ცდილობენ მისცენ ბავშვებს ის, რაც დედ-მამამ წაართვა: მშობლიური სითბო.

საბავშვო სახლებს შეჰყურებენ იმედის თვალით უშვილო ადამიანები, იქიდან გამოჰყავთ პატარა არსებები, რომლებსაც შემდეგ „შვილოს“ ეძახიან და თავზე დაჰკანკალებენ.

არა, არ ვიცი, ვინა ვარ: ნაპოვნი, ნაყიდი, თუ გასაჩუქრებული მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ ჭერქვეშ, რომელსაც მშობლიურად ვთვლიდი, ყველა ბედნიერი ვიყავით, ძალიან ბედნიერი, მე, დედაჩემი და მამაჩემი.

შენ კი, თურმე მალულად უვლიდი ირგვლივ ამ სახლს, მითვალთვალებდი და ეძებდი დროს, შენთვის ხელსაყრელ დროს. ჩემზე შენ არასოდეს გიფიქრია! ჩემზე რომ გეფიქრა, იმ დანაშაულს, რაც ამ 16 წლის წინ ჩაიდინე, ახალს, უფრო საშინელს აღარ დაუმატებდი და ჩემთვის სამუდამოდ უცნობ დედად დარჩებოდი. არა, ქალს, რომელსაც წლების განმავლობაში ერთხელაც არ ჩაგიხედავს ჩემთვის თვალებში, ერთხელაც არ გადაგისვამს თავზე ალერსიანი ხელი, ერთი ღამეც არ გაგიტეხია ჩემს სასთუმალთან, დედას ვერ დაგიძახებ.

არა, ნამდვილი დედა ან ნამდვილი მამა ვერ გაამწარებდა ასე ადამიანებს, რომლებმაც მათი დანაშაული გამოასწორეს და მათ შვილს მშობლების მაგივრობა გაუწიეს.

ამას წინათ სკოლაში ჰყვებოდნენ, როგორ მოიკლა თავი 18 წლის ბიჭმა, როდესაც გაიგო... ერთი სიტყვით, გაიგო ის, რაც დღეს მე გავიგე.

არა, ნამდვილი დედა ან მამა შვილს თვითმკვლელობამდე არ მიიყვანს, არც „კეთილისმსურველი“ მოისურვებს მის დაღუპვას. ამიტომ არც მოვძებნი იმ მოხუცს, ჩემს „კეთილისმსურველს“, არც ვეცდები გავიგო, ვინ არის ჩემი ნამდვილი დედა.

მე ვიცი, ვინ არის ჩემი ნამდვილი დედა და მამა, — ისინი ვინც წლების განმავლობაში მევლებოდნენ თავს და შიშით შეპყრობილები მიცავდნენ ჩემი „ნამდვილი“ დედ-მამისა ან რომელიმე „კეთილისმსურველისაგან“ და ახლა ჩემი განაჩენის მოლოდინში იტანჯებიან. მე მაშინვე უნდა მეთქვა, უნდა დამემშვიდებია, მაგრამ ისე ვიყავი დაბნეული, მოწამლული, განადგურებული... ახლა კი ექიმები არ მიშვებენ დედასთან — „აღელვება არ შეიძლებაო“. ძვირად, ძალიან ძვირად, თითქმის სიცოცხლის ფასად დაუჯდა იმ კეთილშობილ ადამიანებს ჩემი ნამდვილი დედმამობა.

ასე მიაღწია და ვერც მიაღწია მიზანს ჩემმა „კეთილისმსურველმა“.

ესეც მართალია, თავი არ მომიკლავს, მაგრამ მან მაინც მოჰკლა ჩემში ბევრი, ბევრი რამ...

მე უკვე ეჭვის თვალით ვუყურებ ადამიანებს, რომლებიც დღემდე კეთილები მეგონენ.

მე აღარ მიყვარს თ., იქნებ ისიც „მამაჩემივით“ მატყუარა, არამზადა და ბოროტია!

16 წლისა ვარ და აღარ მგონია, თუ რამე გამახარებს... მაგრამ ეს მინდა იცოდეთ: მე ვაპატიებ „ტყუილს“ ადამიანებს — ჩემს აღმზრდელებს, რადგან ისინი ცრუობდნენ ჩემთვის, ჩემი ბედნიერებისათვის, მაგრამ ვერასოდეს გაპატიებთ დაგვიანებულ სიმართლეს თქვენ, „დედაჩემო“, „მამაჩემო“, ვერც თქვენ, არამკითხე „კეთილისმსურველებო“, ვინც არ უნდა იყოთ თქვენ, მათი მეზობელი, მეგობარი, თუ ნათესავი. და მიკვირს, ძალიან მიკვირს, რად არ უნდა ისჯებოდეს კანონით ასეთი მძიმე დანაშაული?!

მ. ბ.



# ხალხის საკუთრება

ქალიშვილს გულით უნდოდა, მხატვარი გამხდარიყო. სხვანაირად ვერც წარმოედგინა ალაზნის უმშვენიერეს ველზე გაზრდილს. ერთ ხანს იმეცადინა კიდეც თელავში შემთხვევით მოხვედრილ რომელიღაც მხატვართან. მაგრამ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ოცნებისათვის აღარ ეცალა ხელმოკლე ოჯახის შვილს. ჯერ მასწავლებლობდა, მერე კი ხარკოვში გაემგზავრა და იქ ფარმაკოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა... ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. დღეს ის 83 წლისაა, და მის მყუდრო ბინასთან გამოკრული აბრა გვამცნობს, რომ ქეთო იაშვილი კოსმეტოლოგია, და არა მხატვარი. მაგრამ სიყვარული კვლავ სიყვარულად დარჩა. ნახევარი საუკუნე ჩაუმუხლავად მუშაობდა, ზრუნავდა თავისი ხალხის გარეგნულ მშვენიერებაზე, მაგრამ სულიერი მშვენიერებისადმი ლტოლვა კვლავ ძველებურად შემორჩა. მომსვლელები ყოველთვის მოულოდნელობისაგან განცვიფრებული ათვალიერებდნენ მისი ბინის კედლებს: კედლებს ამშვენებდა ჩვენი და უცხოეთის სახელოვან მხატვართა მრავალი ნახულავი. ჩვეულებრივად სიტყვაძუნწ ქეთო იაშვილს არასოდეს დაზარებია მოეთხრო სტუმრისათვის, თუ სად და რა პირობებში მოუხდა ამა თუ იმ ტილოს შეძენა. თავისი შრომით მოპოვებული ფული არასოდეს დანანებია მათთვის. უყურებდა, ნათელ ფანჯრებში შემოსული მზე როგორ უდგამდა სიცოცხლეს სახალხო მხატვრის — გიგო გაბაშვილის ნატურმორტს: კრიალა ყურძენსა და გორულ ხავერდოვან ატმებს. უყვარდა გაბაშვილისავე ,,ალავერდობა". ასეთი ახსოვს გზა ალავერდის მონასტრისაკენ: მოჩარდახულ ურემს თაკარა მზე აჭერს. ჩარდახის ჩრდილს კი მთელი ოჯახის ქალი და ბავშვი შეფარებია. მიიჩქარიან ერობისაკენ. მიჭრიალებს ურემი და ჰაერში ცხელი მზის სუნი ტრიალებს... აი, აივაზოვსკის ,,ყირიმის პეიზაჟი", ,,ზღვის პეიზაჟი", — საყვარელი, მშვენიერი ორიგინალები, რომელთა შეხედვა ყოველთვის ამშვიდებს მოღლილ ქალს. წლების მანძილზე გადმოჰყურებს მყუდრო ოჯახური სიამტკბილობით გაშუქებული ,,საოჯახო პორტრეტი" კონსტანტინე მაკოვსკისა. მრგვალ მაგიდასთან ჩაის სმით გართულან ქალები. მაგრამ თვალი ორი გოგონასაკენ გაურბით. ისინი ხატაურას ეალერსებიან. მყუდრო, რბილი ფერებითაა განათებული ცენტრში ეს ოჯახური იდილია. თუმცა საკუთარი შვილი არ ჰყოლია, ქეთევანს მაინც განსაკუთრებულად ესმის ამ სურათისა. მისი კეთილი გული მუდამ მზად იყო დახმარებოდა ადამიანებს, განსაკუთრებით კი ბავშვები უყვარდა. ადამიანების დიდმა სიყვარულმა უკარნახა მას გადაედგა კეთილშობილური ნაბიჯი: ამ სამიოდე წლის წინათ მშობლიურ თელავს საჩუქრად გადასცა თავისი კოლექცია. ჩვენ არ გვიკითხავს, რამდენადაა შეფასებული ეს კოლექცია; შეიძლება ასეთ შეკითხვას შეეცბუნებია კიდეც პატივცემული ქეთო. თავისი შრომით, სიყვარულით და გემოვნებით შერჩეული მონაგარი მან სრულიად უსასყიდლოდ, ალალი გულით გადასცა ხალხს. ამ ამბავზე მრავლად დაიწერა იმ ხანად ჩვენს პრესაში. და შეკითხვაზე თუ რა ამოძრავებდა ამ კეთილშობილი ქალის გულს, ქეთევან იაშვილმა ასე უპასუხა: ,,ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ჩემი ხალხის ფიზიკურ მშვენიერებას ვემსახურები. მიზნად დავისახე მისი სულიერი მშვენიერებისათვისაც გამეწია სამსახური! ამ მიზნით ვიძენდი ხელოვნების შესანიშნავ ქმნილებებს, რომელიც ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ვუძღვენი! დაე, ჩემმა მცირე საჩუქარმა თავისი წვლილი შეიტანოს ჩემი ხალხის კეთილდღეობაში, მისი მომავალი თაობის ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდაში... მადლობელი ვარ, რომ ჩემი ნახევარი საუკუნის შრომით შეძენილ ხელოვნების საუნჯეს ჩემი მეოთხმოცე წლის გაზაფხულზე ვუცქერ, როგორც ჩემი საყვარელი ხალხის საკუთრებას! დაე, ჩემს კვალს გაჰყოლოდნენ სხვებიც. გვახსოვდეს დიდი შოთას შეგონება:

,,რასაცა გასცემ შენია; რას არა, დაკარგულია!"

ზამთრის მყუდრო მზე ამოდის თბილისის თავზე. რამდენიმე წუთით ქალი დიდ ფანჯრებს უღებს სითბოშემორჩენილ სხივებს. მზის ათინათი ცარიელ კედლებზე დაეხეტება. მერე, თითქოს, რაღაც ახსენდებაო, ჩერდება. ახსენდება ქალსაც, რომელსაც თავისი დიდი სიყვარული მრავალი კილომეტრის იქით ეგულება. ქალი 83 წლისაა. მატარებლით მთელი ღამის მანძილია თელავამდე. მაგრამ ქალის გულს თელავისაკენ, თავისი სულისა და ხორცის ნაწილისაკენ მიუხარია. იქ თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ თეთრ შენობაში სამხატვრო გალერეაა მოთავსებული. აქაური ახალგაზრდობა თითქმის ყოველდღე აკითხავს გალერეას. ექსპონატებს ათვალიერებენ სულ პატარებიც. ,,მათ აქედანვე უნდა შევაყვაროთ ჭეშმარიტი ხელოვნება", — ამბობს მუზეუმის დირექტორი ჯიმშერ რჩეულიშვილი და ექსკურსიამძღოლს



უცნობი იტალიელი მხატვარი. „მადონა“.



გიგო გაბაშვილი. „ურემი“.



რუბო. „აულის აღება“.

კარლ პილოტი. „ლუი XVII ტყვედ იაკობინელებთან“.





მაკოვსკი. „ოჯახური პორტრეტი“.

ზინა ჭელიძიშვილს თხოვს, პატარებსაც აუხსნას, დაათვალიერებინოს. და, ზინა, ვინ იცის მერამდენედ ასახელებს ივანე კრამსკოისა და მიხეილ კლოდტს, იული კლევერსა და ძმებს — ვლადიმერ და კონსტანტინე მაკოვსკებს, ფრანც რუბოსა და ა. რიჟიკოვს, სვერჩკოვსა და პოლენოვს.

პატარები განსაკუთრებით უცნობი იტალიელი მხატვრის „მადონას“ წინ ჩერდებიან. ასევე იზიდავთ ფართო ტილო კ. პილოტისა — „მეფე ლუდოვიკო XVII იაკობინელების ტყვეობაში“, ფრანც რუბოს „აულის აღება“ კი უფრო ხნიერ ადამიანებს მოსწონთ. ზოგიერთ მათგანს კარგად ახსოვს უფროსების ნაამბობი კავკასიის ბრძოლების შესახებ. ქეთევან იაშვილმაც სწორედ ამ სურათით ჩაუყარა თავის კოლექციას საფუძველი. ამიტომ თითქოს განსაკუთრებულად სწორედ ეს ტილო უყვარს ქეთევანს.

კახეთის მზე უხვად აშუქებს თეთრ ოთახებს. ქეთევან იაშვილი მოხერხებულად ჯდება სავარძელში და სიყვარულით შეცქერის ტილოებს, რომელნიც ამიერიდან ხალხის საკუთრებაა.

ნ. მაისურაძე



# ერთი დიასახლისის ამბავი

საგარეუბნო მატარებელში ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცი შემოდის. უკან გაურკვეველი ასაკის ქალი მოჰყვება. ისინი გვერდიგვერდ სხდებიან თავისუფალ სკამზე. მამაკაცი ჯიბიდან იღებს გაზეთს და კითხვას იწყებს. ის საგულდაგულოდაა ჩაცმული: ქათქათა გახამებული საყელო, მოხდენილი კოსტუმი, გემოვნებით შერჩეული ჰალსტუხი. სახეზე თვითკმაყოფილება აწერია. მის გვერდით მჯდომი ქალი სულ სხვა სამყაროდანაა. თმა მხრებზე უწესრიგოდ ჩამოშლია, სტანდარტული, მჭახე მწვანე ფერის ბაფთიანი შლაპა დაუდევრად ჩამოუფხატავს თავზე. პალტო ახალი კია, მაგრამ ერთი შეხედვითაც მიხვდები, რომ ჩამოფასებული საქონლის მაღაზიაშია ნაყიდი. გაუხეშებულ, ნაჯაფარ ხელებში უზარმაზარი ჩანთა უჭირავს. რაღაც სისაწყლე იგრძნობა ამ ქალის იერში, ძირსდაშვებულ ის მხრებში. დაღლილ სახეზე. იქნებ, არც იცის, როგორ გამოიყურება, იქნებ, მისთვის ეს სულერთია. სამაგიეროდ, თავის გულში ქალი ამაყობს, რომ შინ სამი შვილი ელოდება, გვერდით კი წარმოსადეგი, კარგად ჩაცმული ქმარი უზის.

უცებ მას რაღაც საოჯახო საქმე აგონდება, რომელზეც ქმარს უნდა მოთათბირებოდა, მაგრამ მან იცის, რომ...

ქმარი ფართოდ შლის გაზეთს, რათა პირდაპირ მსხდომებმა ვერ დაინახონ და გულმოსული ჩურჩულებს:

— შენც ნახე, რა, სალაპარაკო ადგილი!

და ტკაცანით აბრუნებს გაზეთს მეორხე გვერდზე.

ქალი იბუზება და თავის ფეხსაცმელებს დაცქერის. ნეტავ, ეს ზონარი როდის გაეხსნა? დაბლა იხრება შესაკრავად, ძალდატანებისაგან წითლდება. მერე ისევ სწორდება და ზის ასე ჩუმად, გატრუნული. უეცრად საიდანღაც მოდის შეგრძნება იმისა, რომ ქმარს ერცხვინება მის გვერდით ყოფნა, რომ ის არ არის ქმრის ტოლი და გული ტკივა. ქმარი მუშაობს, მას აუცილებლად კარგად უნდა ეცვას. მაგრამ რალად იღუშება? განა ვერ ხედავს, რომ ცოლი მისთვის ყველაფერს აკეთებს?

— აქ ჩავალ, — ეუბნება ქმარს ცოლი და საბრალოდ უღიმის, თითქოს შერიგებას თხოვსო.

ქმარი გაზეთშია ცხვირჩარგული და არ პასუხობს. ალბათ, განცხადებებში რაღაც საინტერესო ნახა.

მე ვიცნობ ამ ქალს. იგი დიასახლისია. მაგრამ განა მოსამსახურე ქალებს შორის კი ცოტაა ასეთი მოუვლელი და დაჩაჩანაკებული ქალი, დიდი ხნის წინ რომ დაუკარგავთ სიკოხტავისა და მიმზიდველობის სურვილი? განა ცოტაა მოსამსახურე ქალებს შორის ისეთებიც, რომლებსაც აღარ სურთ თავიანთი სულიერი სამყაროს გამდიდრება, აღარაფერი აინტერესებთ, ყველაფერზე ხელჩაქნეული არიან და ერთფეროვან ყოველდღიურობას ჩაჰყოლიან, დამონებიან?

როგორ ცხოვრობს ეს ქალი? რით ამართლებს თავის **არსებობას?**

დიდი, დაკრიალებული ბინა. აქ ყველაფერი გემოვნებითაა შერჩეული. სახლში სიმყუდროვეა. ფანჯარასთან საკერავ მანქანაზე დაუმთავრებელი საკერავი დევს. დიასახლისს ხელში ყვავილის ნერგები უჭირავს. სახე ისევ ისეთი აქვს: ცოტა დაღლილი, ბედს შეგუებული და ამავე დროს — ამაყი. გახუნებული ბამბაზიის ხალათის კალთას ხელით იმაგრებს, რომ არ გაეხსნას.

— თქვენ მეკითხებით, არ გბეზრდება შინ ჯდომაო? რა თქმა უნდა, მბეზრდება, მაგრამ რას იზამ... —— და მაგიდისკენ მანიშნებს, რომელსაც ორი ბიჭუნა და ერთი გოგონა შემოსხდომიან და საუზმობენ.

ქალი თავის ჩათელილ ჩუსტებს დაყურებს.

— მე ხომ ყოველთვის ასე არ ვცხოვრობდი. ვმუშაობდი, სულ სხვა ადამიანი ვიყავი. მერე ზედიზედ ბავშვები შემეძინა... დილიდან საღამომდე ჩაუმუხლავად ვშრომობდი, ვჩქარობდი...

— რა გაჩქარებდათ?

— ოჯახის საქმე!

— მაგრამ ოჯახში საქმეს რა გამოლევს! შენთვისაც უნდა გამოძებნო დრო.

— როგორ გამოვძებნო? სარკეში ჩახედვისთვისაც არ მცალია. არც ვიცი, რას ვგავარ...

როცა მუშაობდა, მაშინ ყველაფერი სხვანაირად იყო. სანამ გათხოვდება, ყველა ქალიშვილს სურს ლამაზი იყოს, მერე კი... რა თანამდებობაზე მუშაობდა?

— ბუღალტრად. უნივერსიტეტშიც დავიწყე სწავლა, ეკონომიურ ფაკულტეტზე. მაშინ ოცი წლის ვიყავი. მხოლოდ ერთი წელი ვისწავლე, მერე გავთხოვდი, შვილები მეყოლა და აჰა, ხომ ხედავთ...

განა მერე არ შეეძლო სწავლის გაგრძელება:

— შემეძლო, მაგრამ ქმარს, მგონი ეს არ მოსწონდა. ბავშვები პატარები არიან, წამოიზარდონ და მერე გააგრძელე სწავლა, თორემ ოჯახს ვინ მიხედავსო...

რა თქმა უნდა, ამ ნათქვამში მამაკაცური ეგოიზმიც საკმაოდ არის, მაგრამ განა იოლია სამი შვილის გაზრდა, თუ სახლში მომხმარე არავინ გყავს? ჰოდა, გასაკვირი არცაა, რომ ასე დატვირთულმა ქალმა თავისი გარეგნობისათვის ვეღარ მოიცალა. თუმცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი ქალი ვიცით, ოჯახიც აქვს, მუშაობს კიდეც და თავისთვის მაინც პოულობს დროს: წიგნსაც კითხულობს, კოხტაობს კიდეც.

— დიასახლისისათვის კოხტაობა არ არის აუცილებელი.

— რატომ? განა თქვენ არ გაგიგიათ ანეგდოტი ორ მეზღვაურზე, შორეული ნაოსნობიდან რომ დაბრუნდნენ? პირველს გაწკრიალებულ, კოხტა ბინაში მორთულ-მოკაზმული, მხიარული ცოლი ელოდა და ორივენი, გახარებულები და ბედნიერები, დროს სატარებლად სადღაც წავიდნენ. მეორე მეზღვაურის ცოლმა კი ამ დღისთვის ბინის გენერალური დალაგება გადაწყვიტა. ყველა კუთხე-კუნჭული გამოხვეტა, იატაკზე თუ სადმე ბზარი იყო, სულ კბილის ჯაგრისით ფხიკა და წმინდა, ისე რომ ავეჯსაც და იატაკსაც ლაპლაპი გაუდიოდა. მერე ნამცხვრები დააცხო და გემრიელი კერძები დაამზადა... ოღონდ ესაა, თვითონ ვერც პირის დაბანა მოასწრო, ვერც თმის დავარცხნა და ვერც კაბის გამოცვლა. შუბლმოღუშულმა ქმარმა შეხედა ცოლის ოფლით დაცვარულ სახეს, შუბლზე მიკრულ სველ თმას, მერე მზერა დაწკრიალებულ ოთახზე გადაიტანა და ჩაილაპარაკა: — აქ ისეთი სისუფთავეა, რომ ვერც კი გადააფურთხებ! — ერთხელ კიდევ შეხედა ცოლის ჭუჭყიან ხალათს და სახლიდან გავარდა. ეს ანეგდოტი ცოტა უხეშია, არ გეწყინოთ...

— რად უნდა მეწყინოს? ეს მეც მეხება...

განა საქმე იმაშია, რომ სხვებისთვის იკოხტაო? ნუთუ ამ ქალს არასოდეს გამოუცდია, რა კარგია იყო ლამაზი და მიმზიდველი ვინმეს დასანახად კი არა, უბრალოდ, შენი თავისთვის? ამის ფესვები უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ — ესთეტიკური აღზრდის საწყისებში. ქალმა ვარდებიც უნდა დარგოს სახლის წინ, ოჯახური სიმყუდროვისთვისაც უნდა იზრუნოს, მაგრამ თავისი თავიც არ უნდა დაივიწყოს. აი, ამ კოხტად მოწყობილი ოჯახით და ამ ქალის ქმრის ჩაცმულობით თუ ვიმსჯელებთ, საქმე ფული როდია! არა, უბრალოდ ამ ქალს თავი დაავიწყდა. მან მთლიანად ქმარ-შვილს შესწირა თავისი თავი, დღენიადაგ ქედმოხრილი ემსახურება თავის ოჯახს, ჯილდოდ კი რას ღებულობს? მხოლოდ გულგრილობას. რატომ მიიყვანა აქამდე საქმე?

ქალი უნიათოდ იჩეჩავს მხრებს:

— რა ვქნა, დრო არა მაქვს. ჯერ მაღაზიებს მოივლი, რიგში ჩადგები, მერე ოთახებს მიალაგებ, სადილს გააკეთებ, გარეცხავ, გააუთოებ... ჰოდა, ფულიც ყველაფერზე არ გვყწვდება.

— ჰო, ყველაფერზე არ გვყწვდება, მაგრამ უნდა მოიფიქრო, როგორ დახარჯო უფრო გეგმიანად, ამას რას კერავთ?

— ქმრის პიჟამოს.

— თქვენთვისაც იკერავთ?

— ჰო, ზაფხულისთვის ჩითის კაბას. ჭრა-კერვა კულტურის სახლში ვისწავლე.

ჩითის კაბა 6-8 მანეთადაც შეიძლება მაღაზიაში იყიდო. არც პიჟამოს კერვაა მომგებიანი თუ მაინცდამაინც ფულის ეკონომია გინდა, ჯობს სადა, გამოსასვლელი კაბა შეიკერო, რომლის შეკერვა უფრო ძვირი ჯდება, ან ძველი კაბა გადაიკეთო.

— ჩანს, მოდას თვალყურს მაინცადამაინც არ ადევნებთ, არა?

— არა. მოდას მაინც ვერ დაეწევი. ძვირიცაა, თავისუფალი დროც ბევრი სჭირდება და ფიქრიც.

ეს მართალია, ფიქრი სჭირდება, მაგრამ მოდაზე ჩავიცვამთ, თუ ნაჩქარევად, რაც ხელში მოგვხვდება, იმას ვიყიდით — ფასი ერთი ჯდება. ჰოდა, თუ მოდაზე ჩაცმა მეტ გარჯას მოითხოვს, სამაგიეროდ ლამაზი ტანსაცმლის ტარებით გამოწვეული სიხარული ერთიათად აგვინაზღაურებს ამ შრომას. რატომ არ უნდა ამ ქალს ცოტა თავისთვისაც გაისარჯოს?

საერთოდ მან ძირფესვიანად უნდა შეცვალოს თავისი დღის რეჟიმი. პირველი, რითაც დღე უნდა დაიწყოს, დილის გამამხნევებელი ვარჯიშია. ახლა სულ მეტი ქალები ებმებიან ტანვარჯიშის წრეებში, ცურავენ, ჩოქბურთს ან სპორტის სხვა სახეობას მისდევენ. მათი დღე ხშირად მთავრდება ბიბლიოთეკაში, საკონცერტო დარბაზში ან თეატრში, მეგობრების ან ნათესავების მყუდრო წრეში.

— საღამოსთვის ისე ვიღლები, რომ არაფრის თავი აღარ მაქვს.

დაღლილი კი იმიტომ არის, რომ რაციონალურად ვერ იყენებს თავის დროს. ერთხელ მაინც უფიქრია ამ ქალს, რამდენი რამ გააკეთა ჩვენმა სახელმწიფომ ქალის შრომის გასაიოლებლად? საბავშვო ბაგები, ბაღები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, საოჯახო ტექნიკა, სამრეცხაოები, ქიმწმენდის სახელოსნოები, საოჯახო სამზარეულოები, ნახევარფაბრიკატების მაღაზიები. როცა სადმე ქსოვილს ვიძენთ, ჩვენ არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რამდენს შრომობენ მხატვრები იაფფასიანი და ლამაზი სინთეტური ქსოვილების შესაქმნელად. საზღვარგარეთიდანაც ბევრი შემოდის იმპორტული ტანსაცმელი, საგალანტერიო საქონელი, ქალის საცვლები, კოსმეტიკა, ნაირ-ნაირი მოსართავები. დიდ ქალაქებში გახსნილია კოსმეტიკის კაბინეტები, აკეთებენ კოსმეტიკურ ოპერაციებს.

ტანის, სახისა და ხელ-ფეხის სისტემატური მოვლა-მკურნალობა მომავალში ყველასთვის ისეთივე მოთხოვნილებად იქცევა, როგორც პირადი ჰიგიენა. ტალინში არის დაწესებულებები, სადაც თანამშრომლებს უფასო მანიკურს უკეთებენ. სულ მეტ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო ტანსაცმელს, მოდელების სახლებს, სამკერვალო ფაბრიკებსა და ატელიებს, ხშირად ეწყობა მოდელების დემონსტრაცია, გასაყიდად გამოდის მოდების მრავალი ჟურნალი...

— თქვენ მხოლოდ დროს მართმევთ. ვაი თუ ქმარს სადილი ვერ მოვუსწრო და გამიჯავრდეს.

— არა უშავს, სულერთია, ის მხოლოდ სადილის გამო არ ჯავრობს. აბა, სცადეთ. დატოვეთ ერთ დღეს უსადილოდ, მაგრამ გააოცეთ ახალი ვარცხნილობით და ლამაზი კაბით. თქვენ ძალიან სიმპატიური სახე გაქვთ, არ შეიძლება ასე დაივიწყოთ თავი. აი, ადექით დილით თხუთმეტი წუთით ადრე — „თქვენთვის", დაწოლის წინაც ერთი თხუთმეტი წუთი „გაიმეტეთ", ამ დროის განმავლობაში შეგიძლიათ გამამხნევებელი ვარჯიში ჩაატაროთ, ან, თუ საჭიროა, თმა ბიგუდზე დაიხვიოთ, ყურადღებით შეათვალიერეთ თქვენი თავი სარკეში, საღამოს სახეზე კრემი წაისვით. ცოტა იფიქრეთ, ვინმეს მოეთათბირეთ, როგორ ჩაიცვათ იაფად და ლამაზად. ეს მარტო გარეგნულად კი არ გადაგასხვაფერებთ, არამედ მხნე, კარგ ხასიათზეც დაგაყენებთ, საკუთარ თავში დაგარწმუნებთ.

გაზქურაზე რაღაც აშიშინდა, ალბათ ქვაბიდან წვნიანი გადმოვიდა. დიასახლისი სამზარეულოსკენ გარბის.

აჰა, ესეც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქალი! აბაზანაში სარეცხი მანქანა უდგას, სამზარეულოში — მაცივარი, გაზქურა. აქვს მტვერსასრუტი. იატაკის საწმენდი... მაგიდაზე შეუჩერებლივ ტიკტიკებს საათი და ითვლის წუთებს, საათებს, დღეებს... ნაოჭები, ნაოჭები, შეთეთრებული საფეთქლები, სიბერე... ის სარკეშიც ვერ იხედება, არ სცალია...

ყველაზე უფრო ჩვენ მისი და ქმრის დამოკიდებულება გვაღელვებს.

ჰო, სხვების თვალში ქმარი კარგ კაცად გამოიყურება, როცა საქმე ოჯახს და ბავშვებს შეეხება. მაგრამ ეს ცოტაა. ცოლი შეჩერდა ცხოვრების გზაზე, შეჩერდა კი არა, უკან-უკან მიდის: სახლის გარეშე მისთვის არავითარი ინტერესი არ არსებობს, არაფერს ნახულობს, არაფერს კითხულობს. გარდა ამისა, არც თავის გარეგნობაზე ზრუნავს. მერე? ნუთუ ვერ გრძნობს, რომ მეგობრობის გრძნობაც კი, ამ ორ ადამიანს რომ აკავშირებს, შეიძლება ნელ-ნელა გაქრეს? მართალია, ათასში ერთხელ ცოლი და ქმარი ერთად მიდიან კინოში, თეატრში ან სტუმრად. მაგრამ როგორ?

საგარეუბნო მატარებელში ჯერ ქმარი ადის, უკან ცოლი მიჰყვება. აბა, რა — ქმარი ხომ ოჯახის მარჩენალია, ყველა უპირატესობა მას ეკუთვნის! და ქმარი ისევ იღებს ერთხელ უკვე წაკითხულ გაზეთს ჯიბიდან და კითხვას იწყებს.

ცოლი თავის ახალ ფეხსაცმელს დასჩერებია. ჯერაც ვერ შეჩვევია ამ ახალ მოდას. ცოტა უჭერს კიდეც. ტუფლების თვალიერებით რომ გულს მოიოხებს, ახლა ქმარს მიაჩერდება:

— რა სპექტაკლზე მივდივართ?

— ჰმ, ჰმ, — ახველებს ქმარი.

ეს იმის ნიშანია, ხელს ნუ მიშლით.

ქმარს ცოტა სინდისი აწუხებს: ის ქალიშვილი, მათ დაწესებულებაში რომ ბილეთებს ავრცელებდა, ისეთი მშვენიერი იყო, ისეთი მომხიბლავი, რომ მასთან ლაპარაკში კაცს სულაც გადაავიწყდა ეკითხა, რა ჰქვია პიესას.

**ა. მიანნი,**

ესტონური ჟურნალიდან „სილუეტი".

# უნაყოფო ქორწინება

უნაყოფობას ყოველთვის მწუხარება მოჰქონდა ქალებისათვის. და განა მარტო ქალებისათვის? მე ვიცნობ ბევრ მამაკაცს, რომლებიც მწვავედ განიცდიან უშვილობას. მამობა, ისევე როგორც დედობა, ძლიერი, სასიხარულო გრძნობაა.

უნაყოფო ქორწინება არც ისე იშვიათია. ასი წყვილი შეუღლებულიდან ათი უნაყოფოა და ამაში ბრალი მხოლოდ ქალებს როდი მიუძღვით.

მამაკაცის უნაყოფობის მიზეზი ზოგჯერ იმაში მდგომარეობს, რომ მას არა აქვს ნორმალური სქესობრივი კავშირის უნარი, მაგრამ უფრო ხშირად უნაყოფობას იწვევს თესლის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები. როგორც ცნობილია, ორსულობა იწყება ქალის კვერცხუჯრედში სპერმატოზოიდის მოხვედრის შემდეგ. თუ სათესლე სითხეში არ არის სპერმატოზოიდები (ეს ხდება მამაკაცის სასქესო ჯირკვლების თანდაყოლილი უკმარობის დროს), განაყოფიერება, ცხადია, არ მოხდება. სპერმატოზოიდების მოსპობა შეიძლება გამოიწვიოს სასქესო ორგანოების სხვადასხვა ანთებითმა დაავადებებმა, მაგალითად, ტუბერკულოზმა, და განსაკუთრებით, გონორეამ. შეიძლება სპერმატოზოიდები თესლში აღმოჩნდნენ კიდეც, მაგრამ ისინი, უმოძრაონი, დახოცილები არიან და არ ძალუძთ გაანაყოფიერონ ქალის კვერცხუჯრედი. აი, რატომ არის საჭირო, რომ უნაყოფო ქორწინების მიზეზის გამოსარკვევად სამედიცინო გამოკვლევა პირველად ქმარმა გაიაროს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ქალის მუცლის ღრუ გარემოს სასქესო ორგანოებით უკავშირდება. ზოგიერთ პირობებში ინფექცია შეიძლება მოხვდეს საშვილოსნოსა და საშვილოსნოს მილებში და გამოიწვიოს მათში გართულებები. სამწუხაროა, თუ ქმარს არ ახსოვს ეს საშიშროება.

ერთხელ ჩემთან მიღებაზე მოვიდა ევგენია ს. ქალი მემუდარებოდა განმეკურნა უშვილობისაგან. ის და მისი ქმარი ოცნებობენ ბავშვზე, უკვე ცხრა წელია ცოლქმარი არიან, ახალგაზრდობა გადის. ქმარი დროდადრო გაყრაზეც ლაპარაკობს, თუ ოჯახში პატარა არ გაჩნდებაო.

პაციენტს ქორწინების პირველსავე კვირეებიდან დაეწყო შლა, იგი იტანჯებოდა მტკივნეული მოშარდვისაგან, მუცლის ქვედა არისა და წელის ტკივილისაგან.

დიაგნოზი არასასიხარულო იყო: გონორეა და მისი მძიმე შედეგები — საშვილოსნოს მილების სრული გაუმტარობა.

დასადგენი მხოლოდ ისღა იყო, თუ რამდენ დამნაშავე იყო ამ დაავადებაში მისი ქმარი. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემს წინ 35 წლის მამაკაცი იჯდა. გაოცებულმა მკითხა, რატომ გამომიძახეო.

— თქვენ არ თვლით თავს დამნაშავედ მეუღლის უნაყოფობაში? — კითხვითვე ვუპასუხე მე.

— მაგრამ ბავშვი ხომ მან უნდა შობოს და არა მე, — ირონიულად გაიღიმა.

მაშინ მე ჯიქურ ვკითხე, როდის იყო ავად გონორეით. გამოირკვა, რომ ის ამ ავადმყოფობას მკურნალობდა ქორწინებამდე ერთი წლით ადრე.

დიახ, დამნაშავე უნაყოფო ქორწინებაში სწორედ ქმარი იყო. ჯერ ერთი, მან გადასდო ცოლს გონორეა, რომლისგანაც ქალს განუვითარდა შინაგანი სასქესო ორგანოების მძიმე ანთებითი პროცესი; გარდა ამისა გონორეას, რომლისგანაც, როგორც ჩანს, კაცი ჯერაც არ იყო მთლიანად განკურნებული, მისთვისაც მოესპო განაყოფიერების შესაძლებლობა.

ეს სამწუხარო შემთხვევა და კიდევ სხვა მრავალი თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ ასახიჩრებს გონორეა ქალის ორგანიზმს, როგორ უღებს ბოლოს ოჯახურ ბედნიერებას.

უნაყოფობის მიზეზთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აბორტს. რაგინდ გამოცდილი ექიმი არ უნდა აკეთებდეს აბორტს, მას მაინც, შესაძლოა, დაერთოს მძიმე გართულებები. მით უფრო საშინელია აბორტის შედეგი, თუ ის მალულად კეთდება.

აბორტი — უეცარი, ძალადობრივი ჩარევა, მძაფრი ბიძგი გარედან — არღვევს პროცესს, რომელიც ქალის ორგანიზმში ორსულობის პირველი დღეებიდანვე მიმდინარეობს. განსაკუთრებით საშიშია აბორტი პირველი ჩასახვისას, თუ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ იგი ხშირად იწვევს გართულებებს, ანთებითი პროცესების სახით.

რამდენ ქალს შემოუჩივლია ჩემთვის: „ექიმო, გევედრები, დამიბრუნო დედობის უნარი. მე მინდა გავიგონო სიტყვა „დედა“ ჩემი შვილისაგან!“ საექიმო კაბინეტის კედლებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ბევრ სამწუხარო ისტორიას გვიამბობდნენ ისინი.

აი, ჩემს წინ ზის ახალგაზრდა ქალი. თვალები ცრემლით აქვს სავსე, ლოყებზე ცეცხლი უკიდია. მღელვარებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოყვება — ის ჯერ ოცდაათი წლისაც არაა. ოცდაორი წლის გათხოვდა. მათ ერთმანეთი უყვარდათ და ყველაფერი თითქოს სრულ ბედნიერებას მოასწავებდა. მაგრამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. პირველი ორსულობა... ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული სიძნელეებით შეშინებულმა ირინა მ-მ გადაწყვიტა: ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, დედობას ყოველთვის მოვესწრებიო. და აი, შესაძლო გართულებებზე ექიმის გაფრთხილების მიუხედავად, ირინამ გადაწყვიტა შეეწყვიტა ორსულობა. გავიდა რამდენიმე წელი და ცოლ-ქმარი მიხვდა: სრული ბედნიერებისათვის მათ აკლდათ პატარა. ამ ოცნებას ასრულება არ უწერია. აბორტის შემდეგ ირინას აღარ ეყოლება ბავშვი. ასე ფუქსავატურად და გამოუსწორებლად დაისახიჩრა მან სიცოცხლე.

ზოგიერთი ქალი, ორსულობისაგან თავის დასაზღვევად, საშვილოსნოში იოდს იცხებს ან იშხაპუნებს. მაგრამ იოდი არამარტო წვავს საშვილოსნოს ლორწოვან გარსს და იწვევს მის სხვადასხვაგვარ მოშლილობას, ის საკვერცხეების მოქმედებასაც არღვევს, ამის შედეგია უნაყოფობა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, რასაც თან სდევს დედათა წესის დროს ხანგრძლივი სისხლისდენა.

ორსულობის თავიდან ასაცილებლად მრავალი საშუალება არსებობს, მაგრამ სანამ გადაწყვეტთ, რომელ მათგანს მიმართოთ, აუცილებლად უნდა დაეკითხოთ ექიმ-გინეკოლოგს. სპეციალისტი გირჩევთ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს და გასწავლით, როგორ ისარგებლოთ. მათი სწორი შერჩევით და გამოყენებით ყოველთვის შეიძლება აბორტის თავიდან აცილება.

არსებობს უნაყოფობის სხვა მიზეზებიც: ზოგჯერ ქალს შინაგანი სასქესო ორგანოები არასაკმარისად აქვს განვითარებული. ამ ქალებს დედათა წესი ეწყებათ არა 14–15 წლის ასაკში არამედ 18–19 წლისთვის, ან კიდევ უფრო გვიან. გარდა ამისა, დედათა წესი მიმდინარეობს არარეგულარულად, დიდი შუალედებით, უკმარად.

შინაგანი სასქესო ორგანოების არასწორი განვითარება რომ თავიდან ავიცილოთ, ამისათვის საჭიროა გოგონას ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას ბავშვობიდანვე ვადევნოთ თვალყური.

უნაყოფობის მიზეზებს მიეკუთვნება აგრეთვე სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი, გამოფიტვა, ორგანიზმის დაუძლურება, ავიტამინოზი, მძიმე ნერვულ-ფსიქიური და სხვა დაავადებანი.

უშვილობის მიზეზისა და სათანადო მკურნალობის დასადგენად საჭიროა დროულად მივმართოდ ექიმ-გინეკოლოგს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალები უვიცი ადამიანების ჩაგონებით ცდილობენ „შინაური“ საშუალებებით თვითონვე უმკურნალონ თავს ან ექიმბაშებს უვარდებიან ხელში. ამას მათთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

უშვილო ქალმა არ უნდა დაკარგოს განკურნების იმედი. მაგრამ არც ის უნდა იფიქროს, რომ განკურნება შეიძლება რამდენიმე კვირაში ან ერთ თვეში. მთავარია, გულმოდგინედ შეასრულოთ ექიმის ყველა რჩევა. ბავშვის დაბადება საუკეთესო ჯილდო იქნება.

ი. ლანდრესი.
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# რძლის აღსარება...

მშობლების სახლში მე არც სადილის მომზადება მისწავლია, არც რეცხვა და არც კემსვა. საერთოდ, არავითარი შრომითი ჩვევა არ მიმიღია. შემეძლო, მთელი დღე დივანზე წამოწოლილს, წიგნი მეკითხა. სპორტული ვარჯიშიც კი არ მიყვარდა. დავამთავრე უნივერსიტეტი თუ არა, სამუშაოზე მოვეწყვე და კიდევაც გავთხოვდი. ჩემს მეუღლესაც უმაღლესი განათლება აქვს. კარგი პროფესიის, სერიოზული და ჭკვიანი კაცია. დედისერთაა. კულტურული მშობლები ჰყავს. ორთავე პენსიონერია. მათ ქალაქის ცენტრში დიდი და კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი აქვთ, ლამაზი ბაღით. ასე რომ, არაფერი მაკლდა.

დედამთილი შესანიშნავი დიასახლისი იყო. ყველაფერს თვითონ ამზადებდა. ჩვენს მაცივარში არ ილეოდა ყველი, კარაქი, ძეხვი. ბუფეტი სავსე იყო ნაირნაირი მურაბებითა და კომპოტებით. ჩვენს ეზოში ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე იყო ხილი. შემოდიოდა ბოსტნეული. შინაურები განუწყვეტლივ ჩამჩიჩინებდნენ, ხან ეს მეჭამა და ხან ის.

არავითარ მონაწილეობას არ ვიღებდი საოჯახო საქმიანობაში. მეგობრებს შურდათ ჩემი ბედნიერება. ზოგიერთმა მათგანმა რჩევა მომცა — თავიდანვე გამომეჩინა სიმტკიცე, „მომეპოვებინა ჩემთვის უფლება და თავისუფლება“, ქმრის მშობლებს არ გავშინაურებოდი, სახლში ცოტა მემუშავნა და, საერთოდ, არ გამემხილა, რომ ზოგიერთი რამის გაკეთება მეც შემეძლო, დედამთილისათვის გული არ გამეხსნა, ვყოფილიყავი „დამოუკიდებელი“. ერთი სიტყვით, ჩემს საქმეში არ ჩამერია დედამთილ-მამამთილი. ისინი არ უნდა დაინტერესებულიყვნენ, სად ან ვისთან დავდიოდი და რას ვაკეთებდი.

ავყევი მეგობრების რჩევას. შინ არასოდეს არ ვამბობდი, თუ სად მივდიოდი და როდის დავბრუნდებოდი. დავიწყე სიარული მაღაზიებში, შევდიოდი მეგობრებთან სამასლაათოდ, ვსეირნობდი პარკებში. ერთხელ დედამთილის შეკითხვას: სად იყავი და ასე რად დაიგვიანეო, — უხეში პასუხი გავეცი: რა თქვენი საქმეა, მე მყავს ადამიანი ვისაც ანგარიში უნდა ჩავაბარო-მეთქი. ამან საშინლად გაანაწყენა დედამთილი. შემდეგ მესმოდა, თუ როგორ ქვითინებდა იგი თავის ოთახში. როცა სტუმრები მეწვეოდნენ, მე ბევრს ვლაპარაკობდი, ისე კი ხმას არ ვიღებდი, შინ დაბრუნებისთანავე, ჩემს ოთახს მივაშურებდი. წამოვწვებოდი და ვკითხულობდი, ვიდრე გაწყობილ სუფრასთან არ მიმიწვევდნენ.

შემდეგ ბავშვი შეგვეძინა. მესამე თვეზე ძუძუ გავაშვებინე, რადგან რძე არ მქონდა. ბავშვზე ზრუნვა მთლიანად დედამთილს დააწვა, მე არც მისი დაბანა შემეძლო და არც ჭმევა. ბავშვის თეთრეულის რეცხვასაც გავურბოდი. პატარა ძალიან ცოტას სჭამდა და ბებია საშინლად წვალობდა.

გადაღლილობისაგან დედამთილი ავად გახდა. საავადმყოფოშიც არ მივსულვარ მის სანახავად. ერთ დღეს შეგვატყობინეს: ცუდად არის და თქვენი ნახვა სურსო. ყველანი წავედით: მე, ჩემი მეუღლე, მამამთილი და ბავშვი.

პალატაში დედამთილის გარდა ორი ქალი იყო. დედამთილმა მათ სთხოვა: ცოტა ხანს მარტო დაგვტოვეთო. სულ მთლად შეცვლილიყო საბრალო: ძვალ-ტყავად ქცეულიყო, თვალები ციებ-ცხელებიანივით, უბრწყინავდა, ტუჩები დახეთქოდა. ლაპარაკობდა სვენებ-სვენებით, მაგრამ მკაფიოდ. თითქოს გვეთხოვებოდა. ეტყობა, ფიქრობდა, აღსასრულის ჟამი დამიდგაო. პირველად თავის მეუღლეს მიმართა: „ჩვენ ბედნიერად გავლიეთ ჩვენი დღენი. თანხმობითა და სიყვარულით ვცხოვრობდით, ერთი საწყენი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის“. შემდეგ შვილს მიუბრუნდება: „მშობლების ზრუნვას შენზე ამაოდ არ ჩაუვლია, ჩემო შვილიკო. გაიზარდე ისეთი, როგორისაც ვნატრობდით: ჯანმრთელი, ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ყურადღებიანი, საზოგადოებისა და ახლობლებისათვის სასარგებლო ადამიანი“. ბოლოს მე შემხედა: „შენ კი, ჩემო შვილო, მოუმზადებელი იყავი ოჯახური ცხოვრებისათვის. დიდი სიხარულით შევეგებეთ შენს შემოსვლას ჩვენს ოჯახში. გვინდოდა ჩვენი ჭერი შენთვის მშობლიური გამხდარიყო, შენ კი რატომღაც უცხო დარჩი. გამაგებინე, რატომა ხარ ჩვენი, განსაკუთრებით კი ჩემი უკმაყოფილო? სამ წელზე მეტია ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და მხოლოდ სამჯერ თუ დამიძახე „დედა“. არასოდეს პირველი არ დამელაპარაკებოდი, არ მენდობოდი, რჩევას არ მთხოვდი. რომ ჩვენ არა, შენ ხმასაც არ გაგვცემდი. რატომ შემოგვწყერი ასე? იმიტომ ხომ არა, რომ ყველაფერი მზა-მზარეული დაგახვედრეთ, გემსახურებოდით, ბავშვს გიზრდიდით? მე ყველაფერს უხმოდ ვიტანდი. არ მინდოდა, სხვას ცოდნოდა ჩემი გასაჭირი, არავის ვუმხელდი ჩემს ვაებას. შენ კი უნდა იცოდე, რომ მე ვკვდები დარდისა და ულმობელი წყენისაგან, რომელიც შენი ქცევით მომაყენე. დარწმუნებული ვარ, ჩემი ავადმყოფობის შემდეგ მიხვდებოდი, თუ რა მძიმეა ოჯახური შრომა. ალბათ, გიკვირს კიდეც, როგორ ვასწრებდი ყველაფერს. იცოდე, მე შენზე ცუდი გული მაინც არა მაქვს. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი“.

სულის სიღრმემდე შემაძრწუნა მოსმენილმა. მე ხომ ადრეც ვხვდებოდი ჩემს დანაშაულს.

საბედნიეროდ, ჩემი დედამთილი ნელ-ნელა გამოკეთდა. მე ხშირად დავდიოდი საავადმყოფოში, როგორც შემეძლო ვამხნევებდი. ათი დღის შემდეგ იმდენად მომჯობინდა, რომ შინ დაბრუნდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა მე უკვე ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. იგი ხომ ჩემგან ძალიან ცოტას მოითხოვს: პატივი ვცე, ანგარიში გავუწიო მის გამოცდილებას და შეხედულებებს, ყური დავუგდო მის რჩევას.

ა. ი.

„ბოლგარსკაია ჟენშჩინა“.

⊙ თქვენ საქმიანობთ. და, აი, რამდენიმე წუთი თავისუფალი დრო ჩაიგდეთ ხელში. როგორ შეიძლება გამოიყენოთ ეს წუთები თქვენი ჯანმრთელობისა და სილამაზისათვის? აი, რას გირჩევთ პოლონური ჟურნალი „კობეტა და ჟიცე“:

## როცა ზიხართ

⊙ ხელის გულებით მაგრად დაეყრდენით სკამის საჯდომს და იატაკს ოდნავ ააცილეთ ფეხის ტერფები. შემდეგ შეეცადეთ სკამიდან ტანიც წამოწიოთ რამდენიმე სანტიმეტრით. ნელ-ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ეს მოძრაობა გაიმეორეთ რამდენიმეჯერ. ის მშვენივრად ამაგრებს მკერდისა და მხრების კუნთებს.

⊙ ფეხის ტერფი რიგრიგობით რამდენჯერმე წრიულად დაატრიალეთ.

⊙ თუ გარემოება ამის საშუალებას იძლევა, შეეცადეთ ფეხები შეაწყოთ ამაღლებულ ადგილზე, ეს დაღლილობის შეგრძნებასაც გაგიქრობთ და ვენების გაგანიერებისაგანაც დაგიცავთ.

⊙ კითხვისას იდაყვებით დააწექით მაგიდას და ორივე ხელის ცერებით დააწექით ნიკაპის სხვადასხვა წერტილს. ეს მარტივი მასაჟი დაგიცავთ ღაბაბის გაჩენისაგან.

⊙ დაღლილი თვალები დახუჭეთ, დაიფარეთ ხელისგულებით და წარმოიდგინეთ, რომ თქვენს წინ შავი სივრცეა. სულ სამი წუთი უცქირეთ ასეთ სიბნელეს და თვალები მშვენივრად დაისვენებს.

## როცა დადიხართ

⊙ ნუ იკუზებით! ისწავლეთ მსუბუქი, ძალდაუტანებელი სიარული. მაშინ დაღლილობასაც ნაკლებად იგრძნობთ.

⊙ დაიდეთ თავზე მძიმე წიგნი და ისე გაიარ-გამოიარეთ ოთახში: ასეთი ვარჯიში ტანადობასაც ალამაზებს, მიხვრა-მოხვრასაც და კისერსაც.

⊙ სახლის დალაგებისას, სამზარეულოში ან სამსახურის დერეფანში გავლისას, გააკეთეთ რიგრიგობით ოთხი ნაბიჯი თითის წვერებზე და ოთხი ჩვეულებრივ მთელ ტერფზე. ეს ძალზე სასარგებლოა ფეხებისათვის.

## როცა დგახართ

⊙ მთელი ძალ-ღონით შეისუნთქეთ მუცლის კუნთები, დაითვალეთ ექვსამდე და შემდეგ მოადუნეთ. გააკეთეთ ასე რაც შეიძლება ხშირად და თქვენი წელი ზედმეტი ქონისაგან განთავისუფლდება.

⊙ ლოყები ისე გაბერეთ, თითქოს პირში წყლის გამოვლება გსურთ, შემდეგ კი ნელა დაჩუტეთ, თუ ამ ვარჯიშს ხშირად გაიმეორებთ, პირის გარშემო ნაოჭები აღარ გაგიჩნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზერბაიჯანული სუფრა

## სალათი „ბაჰარ"

ინდაური გაასუფთავეთ და მოხარშეთ. გაციების შემდეგ დაჭერით პატარ-პატარა ნაჭრებად. მოხარშული კარტოფილი, ახალი კიტრი, წითელი ბოლოკი და მჟავე კიტრი დაჭერით პატარა ოთხკუთხ ნაჭრებად, დაუმატეთ მწვანე ბარდა და მჟავე წიწაკა. ყველაფერი ეს აურიეთ და დაასხით არაჟანი, შემზადებული მასა მოათავსეთ სასალათეში, გვერდებზე შემოუწყვეთ ლამაზად დაჭრილი ახალი კიტრი, პამიდორი ისე, რომ მიეცეს ყვავილის ფორმა. შუაში ჩაუდეთ ოხრახუშის ღერო.

ერთი ულუფისათვის საჭიროა: 130 გრ ინდაურის ხორცი, 85 გრ კარტოფილი, 30 გრ ახალი და 50 გრ მჟავე კიტრი, 20 გრ ახალი პამიდორი, 30 გრ მწვანე ბარდა, 40 გრ არაჟანი, 5 გრ მჟავე წიწაკა, 5 გრ ოხრახუში, მარილი გემოვნების მიხედვით.



## სუპი „ფითი"

ეს საჭმელი სასურველია მომზადდეს თიხის ქოთანში ან უჟანგავ ქვაბში. მსუქანი ცხვრის ხორცი დაჭერით ისე, რომ თითოეული ნაჭერი დაახლოებით 50-80 გრ გამოვიდეს. კარგად გადარჩეული ბარდა 4-5 საათის განმავლობაში დატოვეთ ცივ წყალში. შემდეგ ბარდა და ხორცი მოათავსეთ ქოთანში, დაასხით ცივი წყალი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე, თან მოქაფეთ. ნახევარი საათით ადრე მოხარშვამდე, დაუმატეთ კარტოფილი, გარეცხილი ალუჩა, მარილი. მსხვილ ნაჭრებად დაჭერით ერთი თავი ხახვი და ჩადეთ სუპში ადუღების შემდეგ. 10-15 წუთით ადრე, ვიდრე სუპი გამზადდებოდეს, ჩააწყვეთ პატარა ნაჭრებად დაჭრილი ცხვრის ქონი.

ჩაისმაგვარად მომზადებული ზაფრანის ნაყენი (1 გრამი 120 გრ წყალზე) ჩაასხით სუპში, შემდეგ დადგით ნელ ცეცხლზე, სანამ არ გამზადდება. სუპი უნდა იყოს გამჭვირვალე, ქარვისფერი და არომატული.

სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ხმელი პიტნა, ზაფხულში შეიძლება დაუმატოთ პამიდორი და კომში.

ერთი ულუფისათვის საჭიროა 160 გრ ცხვრის ხორცი, 20 გრ მწვანე ბარდა, 20 გრ ცხვრის ქონი, 15 გრ ხახვი, 150 გრ კარტოფილი, 20 გრ ახალი ან 10 გრამი გამხმარი ალუჩა, $^1/_2$ სუფრის კოვზი ზაფრანის ნაყენი, 1 გრ გამხმარი პიტნა, წიწაკა და მარილი გემოვნების მიხედვით.

## ლულა-ქაბაბი

ცხვრის ხორცი (ბეჭი ან უკანა ფეხის ნაწილი) მოამზადეთ ჩვეულებრივად და ხახვთან ერთად გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში, შემდეგ შეამზადეთ მარილით და წიწაკით, აურიეთ კარგად და შედგით მაცივარში 20 წუთით. მერე დაამზადეთ ხორცის მოგრძო, სარდელის ფორმის ნაჭრები, წამოაცვით შამფურზე და შეწვით ნახშირის ქურაზე.

ლავაში მოამზადეთ ასე: გაცერით პურის ფქვილი, დაასხით წყალი და უყავით მარილი, მოზილეთ მკვრივი ცომი და გააბრტყელეთ 2 მმ სისქეზე, გამოაცხვეთ ქონწაუსმელ ტაფაზე.

ლულა-ქებაბს ხვევენ ლავაშში. გარნირი — მრგვალად დაჭრილი ხახვი და შამფურზე შემწვარი პამიდორი.

ერთი ულუფა: 330-350 გრ ცხვრის ხორცი, 20 გრ ცხვრის ქონი, 20 გრ ძველი და 40 გრ ახალი ხახვი, 15 გრ ოხრახუში, 45 გრ ფქვილი, მარილი და წიწაკა გემოვნების მიხედვით.



**შეცდომის გასწორება:**

ჩვენი ჟურნალის მ. წ. მარტის ნომერში, 22-ე გვერდზე მოთავსებული წერილის სათაური უნდა იკითხებოდეს ასე: „თეკლე ბატონიშვილისეული შუბლსაკრავები".

გარეკანის პირველ გვერდზე ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მეოთხე გვერდზე მხატვარ ვ ლ ა დ ი მ ე რ ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ლინოგრავიურები: „სანაპირო", „სამგორის მშენებლობა".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/III, 1967 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ტირაჟი 100.000, შეკვ. № 574, უე 01965. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»

Издательство ЦК КП Грузии.



### იგი იბრძოდა რევოლუციის მონაპოვრის განმტკიცებისათვის

# განვლილი გზა

მან არ იცოდა შიში. არ უყვარდა წუწუნი. არავის უნახავს სუსტი და წელში მოხრილი. პირნათლად ასრულებდა პარტიის დავალებებს ყველა უბანზე.

**1924** წელს ოლღა ნადირაშვილი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. მერე ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, სწავლის პარალელურად ქალაქის პირველი საავადმყოფოს ქალთა შორის მუშაობს. გამოდის მოხსენებებით, ატარებს საინტერესო ღონისძიებებს, კრებებზე გააქვს საჭირბოროტო საკითხები. ოლღას მუშაობა შეუმჩნეველი არ რჩება და მას აწინაურებენ, გადაჰყავთ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში ქალთა განყოფილების ინსტრუქტორად.

მალე ოლღა უნივერსიტეტს ამთავრებს და ამიერკავკასიის ახალი ბოჰკოვანი კულტურების ტრესტის ბათუმის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად ინიშნება. თუ ამ კულტურების თესლი ადრე ჩინეთიდან და იაპონიიდან შემოჰქონდათ, ახლა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველო თვითონ ამზადებს მას. ახალ წამოწყებას უნარიანი გაძღოლა სჭირდება. ერთი წლის შემდეგ მეურნეობა მოწინავეა რესპუბლიკაში.

ეს ის დროა, როცა სოფლად დაიწყო კოლმეურნეობათა ჩამოყალიბება. კოლექტივიზაცია საქართველოში მიმდინარეობს მძაფრი კლასობრივი ბრძოლის პირობებში, ოლღა ნადირაშვილი აჭარაშია, იმ მხარეში, სადაც მუსლიმანური გადმონაშთები ჯერ კიდევ ცოცხლობს და ხალხისა და პარტიის მტრები ყოველნაირად უშლიან ხელს საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრებას, ხოლო გლეხობის ერთი ნაწილი მერყეობს, ეჭვით შეჰყურებს სოფლის მეურნეობის გარდაქმნას და გადამწყვეტ ნაბიჯს ვერ დგამს. ოლღა ნადირაშვილი, გამოწრთობილი პარტიული მუშაკი, დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას ატარებს მშრომელ გლეხთა შორის, არწმუნებს მათ განზოგადოებული მეურნეობის უპირატესობაში, რითაც ხელმძღვანელობის მადლობას იმსახურებს.

მერე ოლღა მუშაობას აჩაღებს აჭარელ ქალთა შორის. გამოდის შინაარსიანი მოხსენებებით, შთააგონებს მათ, რომ მხოლოდ შრომის გზაა თავისუფლებისა და ბედნიერების საწინდარი.

თვითონ ოლღა მხარდამხარ მიჰყვება ცხოვრებას. კვლავ სწავლობს. ქალაქ ბაქოში, შაუმიანის სახელობის ინსტიტუტში ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს. ჯერ კიდევ სტუდენტს, ნიშნავენ ამიერკავკასიის შინსახკომის მესაზღვრე ჯარების სამმართველოს პოლიტგანყოფილების ინსპექტორად ქალთა შორის მუშაობის დარგში. კვლავ კრებები, საღამოები. მოხსენებები...

როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან პოლიტგანყოფილებები ჩამოყალიბდა, იმ 37 აქტიურ პარტიულ მუშაკს შორის, რომლებიც გაიგზავნენ პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწეებად ქალთა შორის მუშაობის დარგში, ოლღა ნადირაშვილიც იყო.

მას აბაშაში აგზავნიან. დაუხნავ თვალუწვდენელ მიწებზე გუგუნებენ ტრაქტორები. შესვენებისას მშრომელები ისმენენ ოლღა ნადირაშვილის საუბრებსა და ლექციებს: საკოლმეურნეო ცხოვრების უპირატესობაზე, ამ ცხოვრების მნიშვნელობაზე გლეხი ქალის განთავისუფლების საქმეში.

როცა პოლიტგანყოფილებები გაუქმდა, ოლღა ჭიათურის რაიონულ კომიტეტში პარტკაბინეტის გამგედ გადაიყვანეს. მერე ის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ინსტრუქტორია დაუსწრებელი პარტიული განათლების დარგში. სამხარეო კომიტეტის გაუქმების შემდეგ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობს.

ოლღა ნადირაშვილი **1939** წელს იყო ქალთა ჟურნალის ,,მშრომელი ქალის“ რედაქტორი. იგი ენერგიას და ცოდნას არ იშურებდა იმისათვის, რომ მკითხველებს ჟურნალის ფურცლებზე ეხილათ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ომის წლებში ოლღა ნადირაშვილი ქლუხორის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას განაგებდა. თბილისში რომ გადმოვიდა, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტის გამგედ დანიშნეს. აქ მუშაობდა პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე.

ამაგდარი ქალი ჯანმრთელობაგატეხილი იგონებდა მერე განვლილი შრომითი ცხოვრების გზას და ამ მოგონებებით ხარობდა სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე.

ირმა ჩოფიკაშვილი

б 24/82





ИНДЕКС 76178